


საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.
პარასკევი, 14 მარტი, 2014 წელი.
№51 (7432)

რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

პასტანბ ქაბირაძე:
რუსეთი საქართველოში
ვიტარების არევის ③
„მეხუთე კოლონაზე“
დაურდნობით შეეცდება



„ევროპა თუ ასე გააგრძელებს,
რუსეთი მესამე მსოფლიო
ომს დაიწყებს“ ④



⑥ **ყირიმული**
დაპირისპირებებიდან
ფიქლის გაზის
რეპოლუსიამდე

„გაუპატი-
ურებული
ევროპა“ ⑧



გაზეთში ნებისმიერი განცხადების
გამოქვეყნება თუ გინდათ,
ჩვენთან
მოზრქანდით!
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.
ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.
ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.

... რასაც უიული შერტაპა ინატრებდა
და რასაც თავი შესწირა ⑨

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

„ახალგაზრდების თავისუფლების უფლება ნებისმიერი სიღარიბის დასასრულის დასაწყისია“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრა მეტად საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ პრემიერის ინიციატივებსა და სტუდენტებისადმი წარდგენილ პრიორიტეტებს ორმხრივი აზრთა გაზიარება მოხდა.



„ჩვენი მიდგომაა, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად გამოიყენოს ის ადამიანური რესურსი, რომელიც ჩვენი ყველაზე დიდი აქტივია. საზღვარგარეთ სწავლება, რომელიც მოქცეულია საერთაშორისო სტანდარტებში, განაპირობებს ქართული ინტელექტუალური რესურსის კონკურენტუნარიანობას“ — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერი შეეხო სტუდენტების როლს ხელისუფლების საქმიანობაში, მათ აქტიურობას „ჩემი უნივერსიტეტი მოსვლა და თქვენთან შეხვედრა არავითარ პოლიტიკურ ინტერესს არ ემსახურება. აქ მოსვლა არავინ დაგაძალაღებს და არც არავინ აგიკრძალავთ. დამთავრდა ის დრო, როდესაც სხვებმა დაგინახეს წვეტიანი, ვინც სად მისულიყო, სად წასულიყო და რა ეთქვა. ყველამ ვიცით, როგორ ძალადობდნენ სტუდენტებზე, რომლებიც განსხვავებული აზრი ჰქონდათ. დღეს ვითარება შეცვლილია. მე მზად ვარ, მოვისმინო თქვენი აზრი, თუნდაც ყველაზე კრიტიკულიც კი. ყველანაირად ვეცდები დროში ახალგაზრდობა თავისუფალია, სწორედ ეს თავისუფლება იყო დათრგუნული ამ კედლებში. ახალგაზრდებისა და მათი თავისუფლების შეზღუდვა კი, ჩემი აზრით, ნებისმიერი ხელისუფლების დასასრულია დასაწყისია. თავისუფლება ქართველი ხალხის მონაპოვარია და ჩვენ აღარ დავუშვებთ სტუდენტების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მა დავიწყებ ჩვენ. ვიცი, რომ ძალიან ბევრი არაკომპეტენტური ადამიანია სამინისტროებში და ვიცი, რომ ეს საკითხი მწვავედ დგას. მოხდება ამ არაკომპეტენტური კადრების ჩანაცვლება. თუმცა, ეს ერთ დღეში ვერ მოგვარდება და ამას სჭირდება თანმიმდევრულობა. ეტაპობრივად უნდა მოხდეს ჩანაცვლება და უნდა მოხდეს სამინისტროებში ფორსირებულად სტაჟიორების შესვლა. როდესაც ნიჭიერი ადამიანი შევა სამინისტროში, მას კონკურენტობა ვერ გაუწევინებ და გამოიჩინებ ვინ არის არაკომპეტენტური. ხანაშით ვეძებ კვალიციფიციურ კადრებს. საქართველოში ძალიან ძირს კვალიციფიციურ კადრებს“ — უპასუხა პრემიერმა.

სტუდენტები აგრეთვე დაინტერესდნენ ხულონების მშენებლობით. მათ პრემიერისგან აინტერესებთადა ჰესის აშენებასთან დაკავშირებით სამართლიანი არგუმენტების გათვალისწინება და ის მოსალოდნელი ზიანი რაღაც სვანურ კულტურას მიაღებოდა მისი აშენების პროცესში.

„მე ნამდვილად ვერ დავფიქსირებ, რომ გიგანტური ჰესი გაანადგურებს სვანურ კულტურას. არავინ ენება სვანურ კულტურას და ჩვენ საზოგადოება შეცდომაში არ უნდა შევიყვანოთ. სვანური კულტურა, რა თქმა უნდა, არ დგას საფრთხის წინაშე, პირიქით, მე ვიქნები პირველი დამცველი სვანური კულტურის. საქართველო არის მრავალფეროვანი კულტურის ქვეყანა და ამ მრავალფეროვნების მთავარი დამცველი ვარ. უბრალოდ არასწორი ინფორმაცია გაქვთ, რომ ამ ჰესის აშენება, სვანურ კულტურას გაანადგურებს. არასოდეს სახელმწიფო არ გააკეთებს ჩვენი მოქალაქეების საინააღმდეგო ქმედებას. უნდა მოხდეს პოზიციების შეჯერება. ამ ხალხს უნდა ავუსხსნათ, რას ნიშნავს

ჰესის აშენება ჩვენი ენერგოდამოუკიდებლობისთვის, სვანებისთვის, ენერგოუსაფრთხოებისთვის, ამ ყველაფრის შემდეგ თუ მათ ისევ არ მოუწოდებთ ჰესის აშენება და ექნებათ მყარი არგუმენტები, სამართლიანი არგუმენტები, ამას მე აუცილებლად გაითვალისწინებ, მაგრამ ის არგუმენტები რაც თქვენ მოგყავთ, არასწორია და შეცდომაში შევიყვანს მსმენელს. ზოგადი შეფასებები, რომ ტენიანობა გაიზარდება, ფრესკები შეიძლება დაზიანდეს, არასწორია, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

შეხვედრაზე პრემიერმა სტუდენტებს და ახალგაზრდებს კომუნიკაციის ახალი, ეფექტური ფორმა შესთავაზა.

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ამ მიზნით, პრემიერის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე, სპეციალური აპლიკაცია — „ახალი თაობის იდეა პრემიერს“ შეიქმნა.

საქართველოს მთავრობის მეთაური მზად არის, ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებით ახალი თაობის მოსაზრებებსა და იდეებს გაეცნოს და მათ აქტიურობისკენ მოუწოდებს.

„კონკრეტული გადამწყვეტილებების მიღებისას ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი აზრი. ამიტომ გთავაზობთ კომუნიკაციის ყველაზე მოწინავე საშუალებას — „ფეისბუქზე“ ჩემი ოფიციალური გვერდისთვის შეიქმნა სპეციალური აპლიკაცია — „ახალი თაობის იდეა პრემიერს“. მიუხედავად იმისა, რომ გადაჭრითელი გრაფიკი მაქვს, მაინც მოვასრულებ გავცნოთ თქვენს მოსაზრებებს, თქვენს იდეებს და მოკონფეს თქვენთან კომუნიკაციას. მოგანდობდებით, იაქტიუროთ. მერწმუნეთ, ჩემი და ჩვენი პოლიტიკური გუნდის საქმიანობაში თქვენი მონაწილეობა, თქვენი აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია“, — მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

სტუდენტებთან პრემიერ-მინისტრის შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ შეაჯამა.

ავტორი: ბექა ბერიძე

დემოგრაფია

რას ნიშნავს დღეს საქართველოსთვის „მართლაც შვილი?“

მრთი შვილი — არა შვილი; ორი შვილი — ვითომ შვილი; სამი შვილი — მართლაც შვილი

ალბათ, ყველას გგონია ეს ფრთხილი გამოხატულება, რომლის სისწორეც განსაკუთრებული სიმწვავეთი იგრძნობა დღევანდელ საქართველოში, რომელსაც საკმაოდ მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა აქვს. და სწორედ ამ ერთობ არასახარბიელო ვითარების ერთ-ერთი გაუმჯობესებას ისახავს მიზნად პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა, რის შესაბამისადაც პირველი ივენისიდან საქართველოს 6 რეგიონში მცხოვრები ყოველი მესამე შვილი მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, კახეთი, იმერეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი ქვეყნის სხვა რეგიონებიდან იმით გამოარჩიეს, რომ აქ ადამიანთა გარდაცვალების შემთხვევები დაბადების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აჭარბებს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის თანახმად, მთიან რეგიონებში მცხოვრებლებისთვის დახმარების თანხა 200 ლარით განისაზღვრება, ბარში მცხოვრებთათვის — 150 ლარით. კომპენსაციას მშობელი მესამე ბავშვის დაბადებიდან 2 წლის განმავლობაში მიიღებს. დემოგრაფიულ საკითხებზე სპეციალური სამთავრობო კომისია იმუშავებს, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს. კომისიამ უნდა შეიმუშაოს დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო პროგრამა. ამ მიზნით კი, დემოგრაფიული განვითარების ფონდთან და ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ექსპერტთან ითანამშრომლებს.

„1941-45 წლების ომის დროსაც კი უფრო იყო მოსახლეობის მატება ვიდრე ახლა, შედარებით მშვიდობიანობის დროს არის, ამბობს დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე, რომელიც საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ სურათს საგანგაშოს უწოდებს — განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა სამეგრელო-ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში. 2000, 2011 და 2012 წლებში, ყოველწლიურად, კახეთში 400-ით მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე

დაიბადა, იმერეთში — 569, გურიაში — 302, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში — 424. რაჭაში მოსახლეობის რიცხვი ისევე მცირედა და ეს განსაკუთრებით საგანგაშო რიცხვია. მე-19 საუკუნის ბოლოს რაჭაში თითქმის 80 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად 22 ათასი ცხოვრობს და, ძირითადად, მოსულები. თუ საგანგებო გადამწყვეტილებას არ მივიღებდით ამ რეგიონებში და 10-15 წელიწადში რაჭა გაუცაცრიელდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიის კუთხით, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობა საქართველოშია“, — აცხადებს ანზორ თოთაძე.

მისივე განმარტებით, მთავრობის ახალი ინიციატივის შედეგად საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის კლება შეწყდება, შემდეგ კი დღის წესრიგში გამრავლების საკითხი დადგება.

„მოსახლეობის გამრავლებისთვის მნიშვნელოვანია აქვს მესამე ბავშვის გაჩენას. ქალმა თუ დაბადა ორი ბავშვი, მართალია, მან ამით აანაზღაურა მშობლები, მაგრამ ყველამ რომ ორი ბავშვი იყოლიოს, დიდი ხნის შემდეგ ასეთი ვერ იქნება, რადგან ბავშვების ნაწილი 1 წლამდე ასაკში კვდება, ყველა ბავშვი ვერც 18 წლის ასაკს აღწევს, გაცილებით მცირე რაოდენობა, მაგრამ მაინც გარდაიცვლება. ყველა ქალი არ გათხოვდება,



ზოგიერთი უნაყოფოა და ა.შ. ამიტომ, ორი ბავშვი რომ დაბადოს ქალმა, არ არის საკმარისი. დემოგრაფიაში მიღებული და გაანგარიშებულია, რომ რამდენიც ვართ, მომავალში რომ იმდენი ვიყოთ, ქალმა უნდა დაბადოს 2,1 ბავშვი — ეს არის საშუალო მაჩვენებელი. როდესაც ერთ ოჯახში სამი ბავშვი და მეორეში — ორი, ეს ნიშნავს, რომ გაჩნდა ორნახევარი ბავშვი. როდესაც, სტატისტიკურად, ერთი ქალი დაბადებს 2,1 ბავშვს, ამ შემთხვევაში მოსახლეობა შეინარჩუნებს არსებულ რაოდენობას, ამის ზემოთ რაც გაჩნდება, უკვე არის მატება. თუ ყველა ოჯახში დაიბადა სამი ბავშვი, ეს უკვე არის მოსახლეობის გამრავლება“, — განმარტავს ანზორ თოთაძე.

For.ge-ს ინფორმაციით, ჯერჯერობით გადამწყვეტილი არ არის, თუმცა, დიდი ალბათობით, მესამე ბავშვთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარების პროექტი არ შეეხება მაღალი შემოსავლების მქონე ბავშვის ოჯახებს. კერძოდ, იმ ადამიანებს, ვინც საკვანძოდად კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, გადასახადის გადახდად მიიჩნევა. ოჯახის წევრად კი, მოქმედი კანონით, მიიჩნევა მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი, ასევე ბავშვთან ერთად

მცხოვრები სრულწლოვანი ძმა, და, პაპა და ბებია. თუმცა, რეგიონებში რომლებშიც პირველ ეტაპზე სახელმწიფო დახმარება ამოქმედდება, მაღალშემოსავლიანი ოჯახების რიცხვი საკმაოდ მინიმალურია და, შესაბამისად, შეზღუდვა ბევრ ოჯახს არც შეეხება.

დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული უკანასკნელი მონაცემები 2012 წელს ეხება. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2012 წელს საქართველოში 57 031 ბავშვი დაიბადა. 2003 წლიდან 2012 წლამდე ქვეყანაში ყველაზე მეტი ბავშვი — 63 377 2009 წელს გაჩნდა. რაც შეეხება მესამე ბავშვის გაჩენის შესახებ სტატისტიკას — 2003 წელთან შედარებით 2012 წელს საქართველოში თითქმის ორჯერ მეტი მესამე ბავშვი გაჩნდა. ამ თვალსაზრისით, მატება განსაკუთრებით შესამჩნევია 2008 წლიდან გახდა. რაც, გარკვეულწილად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივასაც უკავშირდება.

ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით 2008 წელს, ნათლისღების დღესასწაულზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ახალ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, რომლის თანახმად, მშობლების სურვილის შემთხვევაში, იგი ჯვარდანილი ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო შვილის ნათლია სდება.

მთავრობა კი დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების მიზნით უკვე გადადგმულ ნაბიჯებად ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში უფასო მშობიარობას და დეკრეტულ შევბუღებების 4-დან 6 თვემდე გაზრდასაც ასახელებს.

მადლიანა მატარაშვილი

აზრთა გზაჯვარედინზე

– ბატონო მხატვარ, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?

– როდესაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბარზე, ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო საგარეო ურთიერთობებია. ვგულისხმობ პრემიერის ვიზიტს აშშ-ში, იქ გამართულ შეხვედრებს და ამ შეხვედრაზე ამერიკის პრეზიდენტის, ობამას გამოჩენას, ამასთანავე, პრემიერ ლარიაშვილის ობამასთან ჰაგაში მოსალოდნელ შეხვედრას. ამაზე ყურადღებას იმით გამოვხატავ, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საგარეო ურთიერთობები იქცა ერთგვარ საჯილდო ქვად. ამ მხრივ, გარკვეული საკითხები მაინც რჩება, მხედველობაში მაქვს „ევროპის სახალხო პარტიის“ მხრიდან ჩვენი ხელისუფლების მიმართ გამოთქმული საყვედურები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს უკვე განვლილი ეტაპია და საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენს დასავლელ მეგობრებსა და პარტნიორებს შორის ახალი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. როგორ გამოვიყენებთ აღდგენილ და გაძლიერებულ ურთიერთობებს, ეს სხვა საკითხია.

რა თქმა უნდა, ამ პროცესებს გარკვეულწილად უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა შეუწყო ხელი, მაგრამ მაინც მივიჩნევ, რომ კიდევაც რომ არ დანაკლებული უკრაინის პროცესები, ვილინუსის სამიტის შემდეგ ეს ურთიერთობა უფრო ახალ ფაზაში გადავიდოდა.

რაც შეეხება ხელისუფლების საშინაო პოლიტიკას, რამდენიმე სიტყვით უნდა ითქვას, თუ რა გვექონდა, რა გვაქვს და რამე შეიცვალა თუ არა. ჩვენ ვცხოვრობდით ქვეყანაში, რომელიც ავტორიტარული იყო. ავტორიტარული რეჟიმში მოქცეული იყო არა მარტო პოლიტიკა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. მათ შორის ეკონომიკა, სოციალური სფერო და კიდევ მრავალი სხვა სფერო. ამას იმტომ ვიხსენებ, რომ, როცა ჩვენ რაღაცაზე ვსაუბრობთ, აქცენტი კეთდება ჩვენს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე. ეს ასეა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ავტორიტარული არ ნიშნავდა იმას, რომ ქვეყანაში მოხდებოდა რეჟიმის ცვლილება.

ამას იმტომ ვიხსენებ, რომ რეჟიმის ცვლილების თვალსაზრისით ხელისუფლებას დიდი ნაბიჯები არ გადაუდგამს. დაპირებების მიუხედავად, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კომპატიბაცია დასრულდებოდა, ცხადია, რომ არ დასრულდებოდა. არ ვგულისხმობ მარტო ყოფილი მთავრობის მიმართ საპარტლიანობის აღდგენის აუცილებლობას. ვერც მე და, ალბათ, ვერც სხვა ვერ დაასახელებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და გამოცოცხლებისთვის გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯებს.

დღესაც არსებობს მონოპოლიები, რაც მანამდე არსებობდა. შესაძლოა, დღეს ბიზნესიდან გადასახადების ამოღება ისე არ ხდება, როგორც წინა ხელისუფლების პირობებში ხდებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილია თავისუფალი და კონკურენტუნარიანი გარემო. ამიტომ ჯერჯერობით მიჭირს ამაზე აქცენტის გაკეთება, რომ ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაში რაღაც ახალი ენერჯია და ძალა შემოიტანა.

ჯერჯერობით, შემოიძლია ვთქვა, რომ ახალი ხელისუფლება როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო საქმეს ძალიან მდორედ მიუყვება და იმ გამოწვევებს, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. ზუსტად ვერ პასუხობს.

– ერთი წელი და 5 თვეა, რაც ქვეყანას „ქართული ოცნების“ მთავრობა მართავს. საშინაო პოლიტიკაში რაზე ურჩევდით ყურადღების გამახვილებას პრემიერ-მინისტრ ლარიაშვილის მთავრობას?

– საშინაო პოლიტიკა მოიცავს მთელ სპექტრს იმისა, რაზედაც უკვე ნაწილობრივ ვისაუბრე. ჩემი აზრით, არა მარტო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, არამედ მთლიანად ხელისუფლებამ უნდა გაიანჯროს, პირველ რიგში რა არის გასაკეთებელი. უფრო სწორად, მოახდინოს პრობლემათა რანჟირება. თუ ჩვენ ვერ შევძელით, ქვეყანაში რეალურად ჩამოვყალიბებთ დემოკრატიული მართვის სახელმწიფო სტრუქტურები, საქმე გაკეთებულად ვერ ჩაითვლება. თუ ჩვენ მხოლოდ დაკვირვებით ხელისუფლების წარმომადგენლთა განცხადებებით, რომ „ჩვენი ხელისუფლება ამას არ გააკეთებს“, არაფერი გამოვა. ეს არ არის ის მიდგომა, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს ინსტიტუტების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. შესაძლოა, ამა თუ იმ პერსონამ რაც ერთა გასაკეთებელი, არ გააკეთოს, მაგრამ ამით არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქვეყანაში გამართული სტრუქტურები არსებობს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ დემოკრატიული ინსტიტუტების მუშაობის მექანიზმების შექ-

მნაზე. ეს ინსტიტუტები კი არ შეცვლილა. სულ ახლახან ძალიან აქტიუალური იყო მოსმენების თემა. ეს საკითხი ერთ-ერთი მცირე ნაწილია იმ პრობლემების, რაც უზოგადად არსებობს. შესაძლოა, დღევანდელი ხელისუფლება მხარს არ უჭერს მოსმენებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარ უკანონო მოსმენებს ადგილი ზედა არ ექნება და მოსმენებისგან საზოგადოება დაცული იქნება. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სახელმწიფო განრანტირების იმისა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები არ დაუშვებენ სახელმწიფოსგან იმას, რაც არ უნდა გაკეთდეს.

თუ ეს არ გაკეთდა, ხელისუფლების მცდელობები, გააუმჯობესოს ეკონომიკა და სოციალური სფერო, მაინც წარუმატებლად მიიჩნევა, ვინაიდან ვერ შეიქმნება ისეთი გარემო,

ლობრივ არჩევნებზე, არამედ 2016 წლისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე.

– უკრაინაში განვითარებული პროცესები მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ყირიმის უმადლესმა საბჭომ და სევისტოპოლმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. აღარავის ეპარება ეჭვი, რომ 21 მარტს რუსეთის დემა ყირიმის მიერთების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს. ისტორიულად ყირიმში რომ რუსეთს უფრო ეკუთვნის, ვიდრე უკრაინას, სადა არ უნდა იყოს, მაგრამ სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოსკოვმა დასავლეთის მიერ შეთავაზებული თამაშის წესები მიიღო. მხედველობაში არ მაქვს მსოფლიო 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმზე ხელმოწერა, რომლის თანახმადაც, უკრაინამ ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ უარი თქვა მის ტერიტორიაზე განლაგებული ბირთვული იარაღის

პასტანბ ძაბირაძე:

რუსეთი საქართველოში პითარების არევის „მეხუთე კოლონაზე“ დაყრდნობით შეესდგება

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტიუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ კონსტიტუციონალისტ მხატვარძე ძაბირაძეს ესაუბრა.



რომელიც ხალხს საშუალებას მისცემს ჩაერთონ ქვეყნის აღმშენებლობაში. ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკა ამგვარი ინსტიტუტების შექმნაზე უნდა იყოს ორიენტირებული. სხვათა შორის, ამისკენ მოგვიწოდებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, მაგრამ ამას 20 წელია, ვერ ვახერხებთ.

საკონსტიტუციო კომისიაზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა, რომელმაც უნდა დაიწყო მუშაობა. გულწრფელად ვამბობ, ამ კომისიის პერსონალური შემადგენლობა ისეთია, რომ მას აქვს ინტელექტუალური პოტენციალი, მართლაც კარგი ქართული კონსტიტუცია შექმნას, მაგრამ სამწუხაროდ, მე არ მაქვს იმის გარანტია, რომ ეს ასე მოხდება.

– როგორ შეაფასებდით, საპარლამენტო და პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციის აქტიუობებს?

– აბსოლუტურად გასაგებია, თუ როგორ და რატომ აქტიუობს საპარლამენტო ოპოზიცია. თუმცა, მათ განცხადებებში ახალი ნოტივებიც ახორციელდა, მხედველობაში მაქვს მათი მხრიდან გარკვეულწილად ბოდიშების მოხდის დანახვა. ეს პროცესი, ეტყობა, კვლავაც გაგრძელდება, თუნდაც იმავე მოსმენებთან დაკავშირებით. არა მგონია, საპარლამენტო ოპოზიციას ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს მოსახლეობაში, მიუხედავად იმისა, თუ რას გააკეთებს უახლოეს მომავალში.

უბედურება ისაა, რომ თუ პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციამ ადგილობრივი არჩევნებისთვის გაერთიანება ვერ მოახერხა, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ვისურვებდი, რომ მათ მოეხერხებინათ გაერთიანება. იმიტომ, რომ დღეს, სამწუხაროდ, რეალურად მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ მოსახლეობაში დამოკიდებულება ცოტა განელდა, თუ მათ არჩევანის გაკეთება მოუხდა, ისინი მხარს მაინც „ქართულ ოცნებას“ დაუჭერენ. ამის ალბათობა ადგილობრივ არჩევნებზე დიდია, მაგრამ, ჩემი აზრით, ადგილობრივი არჩევნები იქნება ბოლო არჩევნები, როცა „ქართული ოცნებას“ დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრთან მიმართებაში ექნება მოსახლეობის უპირობო მხარდაჭერა. დარწმუნებული ვარ, სულ სხვა მდგომარეობა იქნება საპარლამენტო არჩევნებისთვის. ჩემი აზრით, არასაპარლამენტო ოპოზიციამ უნდა იფიქროს არა იმდენად ადგი-

დამობა-ლიკვიდაციაზე. აშკარაა, რომ სსრკ-ს დაშლისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საზღვრების ურღვევობის პრინციპი მეორედ ირღვევა. დასავლელ ექსპერტთა აზრით, კრემლის მიერ ყირიმში ჯარების შეყვანით „მსოფლიო წესრიგი ქაოტური გახდა“ და ამას დასავლეთი ჯერ თითქოს არ იმჩნევს. თქვენი აზრით, უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რამდენად საფუძვლიანია დასავლელ ექსპერტთა ნაწილის შეფასებები?

– რაც ახლა უკრაინაში ხდება, შესაძლოა, ისეთივე მნიშვნელობის იყოს, როგორც თავის დროზე – კარიბის კრიზისი. ყველასთვის ცხადია, რომ ახლა მარტო ყირიმის პრობლემა არ დგას და კრემლი იწყებს რუსული იმპერიის აღდგენას ძალისმიერი მეთოდებით.

ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება პროცესები უკრაინაში. შეიძლება ითქვას, ჩვენ ამ პროცესებზე პირდაპირ ვართ მიბმული. თუ ყირიმის პრობლემა ისე დასრულდა, როგორც ეს რუსეთს სურს, რა თქმა უნდა, გარკვეულ დისონანსს შეიქმნის მსოფლიოს წესრიგში. თუ ევროპაში საზღვრების ურღვევობის პრინციპი დაირღვა, ევროპა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

არაფერ დავობს, რომ ყირიმი რუსეთს ეკუთვნოდა, მაგრამ უფრო ადრე თურქეთს ეკუთვნოდა, მანამდე კაცმა არ იცის, რა ხდებოდა. იალტის კონფერენციის შემდეგ მთლიანად შეიცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა და საზღვრები. ასე რომ, თუ დღის წესრიგში საზღვრების გადახედვის საკითხი დადგა, ეს ძალიან შორს წავა და მსოფლიო ჩიხში აღმოჩნდება. ამიტომ არა მგონია, რომ ევროპამ და მსოფლიომ დაუშვას საზღვრების ძალისმიერი ხერხებით გადახედვა.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოიქცა საქართველოს ხელისუფლება, დასავლეთმა არც ერთი რეალური ნაბიჯი არ გადადგა პრობლემის მოსაგვარებლად. იმე და მაქვს, რომ შექმნილ ვითარებაში ჩვენ შევძლებთ ჩვენი პრობლემების საერთაშორისო დონეზე აქტიუალიზაციას.

– აშკარაა, რომ დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დანებებული სანქციები – ანგარიშების გათვალისწინება და ვიზების გაცემის შეჩერება, კრემლს ყირიმზე უარს ვერ ათქმევინებს. სომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთი სსრკ-ს შემდეგ ჩა-

მოყალიბებულ მსოფლიო წესრიგში ცვლილებების შეტანას არა მხოლოდ ცდილობს, არამედ ყირიმში დაწვევული ოპერაციის ფონზე დასავლეთის საქართველოში და უკრაინის ნატოში სავარაუდო განწევრების საკითხზე კულუარებში ვეაჭრება?

– პრობლემა იმდენად გაცდა კულუარულ ჩარჩოებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში უმძიმესი სიტუაცია შექმნილია. პუტინის ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება უკან დახევა, რადგან ქვეყნის შიგნით აუცილებლად დაკარგავს რეიტინგს და ეს მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი შედეგების მომტანი იქნება. მეორე მხრივ, თუ დასავლეთი იმას ევგუება, ანალოგიურ ვითარებაში დასავლეთი აღმოჩნდება. ჩემი აზრით, ასეთ ფონზე ევროკავშირში, ანაც ნატოში განწევრების თემა მეორე პლანზე გადადის. ახლა მთავარია, მოიძებნოს ისეთი გამოსავალი, რომელიც მისაღები იქნება როგორც დასავლეთისთვის, ისე რუსეთისთვის. პირადად მე, ამგვარ გამოსავალს ვერ ვხედავ.

იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ დასავლეთი დაინწყებს რუსეთის წინააღმდეგ აშკარა ზომების მიღებას. უფრო სავარაუდოა, რუსეთმა აღიაროს ყირიმის დამოუკიდებლობა, მაგრამ განცხადებების მიუხედავად, რომ რუსეთი ყირიმს მიერთებს, მაინც არა მგონია, რუსეთმა ამგვარი ნაბიჯი გადადგას. უფრო რეალურად გამოიყურება, რომ ყირიმმა რუსეთთან მიმართებაში ისეთივე სტატუსი მიიღოს, როგორც დღეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აქვს.

– რუსეთს აფხაზეთის და ენ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ფორმალურად აქვს აღიარებული, მაგრამ რეალურად რა, ისინი რუსეთის ნაწილები არ არიან?

– დიას, სწორს ამბობთ, მაგრამ ჯერჯერობით, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოს არ უღია რებია მათი დამოუკიდებლობა, რუსეთს შეუძლია, რბილად თქვას უარი თავის აღიარებაზე და რაღაც ფორმით მოხდეს კრიზისამდე არსებული ვითარების აღდგენა. მაშინ, როდესაც რუსეთი ამ რეგიონებს გამოაცხადებს თავის ტერიტორიად, გაცილებით რთული იქნება პროცესის უკან შემობრუნება. ამიტომაცაა რომ ვამბობ, დასავლეთს რუსეთის მიმართ ძალიან მკაფიო პოზიციები აქვს დაფიქსირებული. შესაძლოა, არ იყოს ომი და ალბათ, ომი არ იქნება, არანაკლები მნიშვნელობის იქნება რუსეთის წინააღმდეგ დანერგული ეკონომიკური სანქციები, თუ დასავლეთმა ისინი განახორციელა.

– თქვენი კოლეგა, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ „ორ თვეში ვიგრძნობთ რუსული ენ. „რბილი ძალის“ შემოჭრას საქართველოში“. როგორ შეიძლება იგრძნოს საქართველოში რუსული ენ. „რბილი ძალის“ შემოჭრა? ანუ, სავარაუდოდ, ბრძოლის რა ფორმებს შეარჩევს ამჯერად კრემლი საქართველოსთან მიმართებაში? შესაძლოა, ამაზე პასუხი მაგველო ვერაძისა და მანანაშვილის მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე, მაგრამ ეს შეხვედრა უკვე მეორედ გადაიდგა...

– აბსოლუტურად ვიზიარებ აზრს, რომ რუსეთი საქართველოს „უყურადღებოდ“ არ დატოვებს, თუმცა, ამ შემთხვევაში მას გაცილებით მეტი თავსატეხი აქვს ევროპის უკრაინის სახით. იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდება პროცესები უკრაინაში და რა ვითარებას მივიღებთ, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, თუ რა ღონისძიებებს განახორციელებს რუსეთი საქართველოში.

თუ რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარების შეყვანას დაიწყებს, სამწუხაროდ, ჩვენც აღმოვჩნდებით რუსეთის მხრიდან არც თუ ისე „რბილი“ დარტყმის ქვეშ. ჩვენ რუსეთი იმ შემთხვევაშიც არ დაგვტოვებს უყურადღებოდ არ გვექნება მშვიდად ყოფნის საშუალება, თუ ყირიმთან დაკავშირებული საკითხების გადანახევრა პოლიტიკური და დიპლომატიური ხერხებით გახდა შესაძლებელი.

ესაუბრობ ჯერ „მეხუთე კოლონის“ გააქტიურებაზე. რუსეთი შეეცდება, საზოგადოებაში გამოიწვიოს უკმაყოფილება ხელისუფლების მიერ გაცემულ და ჯერ ვერ შეუსრულებული დაპირებების გამო. ამას ემატება არჩევნები, ვინაიდან არჩევნები გარკვეულწილად, ისედაც დაპირისპირებაა. რუსეთი საქართველოში ვითარების არევის „მეხუთე კოლონაზე“ და ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით შეეცდება.

შესაძლოა, შეეცადონ ეთნიკური პრობლემების განხილვა, თუმცა, ეს ნაკლებსავარაუდოა, ვინაიდან ასეთ სიტუაციაში ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდებიან ჩვენი მეზობელი ქვეყნები. ალბათ, საქართველოში სიტუაციის ასარეგად რუსეთი „მეხუთე კოლონაზე“ გააკეთებს ფსონს.

კოვა პანდელიანი

დღის თემა

„ევროპა თუ ასე გააბრძოლებს, რუსეთი მასავე მსოფლიო ომს დაიწყებს“



ეფუძრება თუ არა მსოფლიო მშვიდობას „აღოლფ პუტინი“?

ნომრის სტუმარია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანზორ წოწონაძე.

ბატონო ანზორ, თქვენი ვარაუდით, პუტინის პოლიტიკას გარდაუვალი კრახი ემუქრება და რუსეთს აფხაზეთის დათმობა იძულებით მოუწევს. რა გაძლევთ ამის თქმის საბაზს, როცა მოკლები აბსოლუტურად ამის საინააღმდეგოდ ვითარდება. კარგად ვხედავთ, ჯერჯერობით, როგორი „უძლეულია“ მსოფლიო?

მოდით, გაგახსენებთ ისტორიის ასეთ პრეცედენტს. გასული საუკუნის 30-იან წლებში, ევროპის ლიდერები შიტილერი და მუსოლონი გახდნენ, მათ ფაშისტური იდეოლოგიის დამკვიდრება დაიწყო. ამ დროს იტალია თავს დაესხა ეთიოპიას. ერთა ლიგა შეშფოთდა, ახმაურდა, მაგრამ გაჩუმდა მას შემდეგ, რაც შიტილერმა განაცხადა, რა მოხდა მერე, ეს ჩვენი ერთიანი სტრატეგია არისო... ამის შემდეგ ერთა ლიგა, ფაქტობრივად, დაიშალა, ხოლო შიტილერის „ხუშტურებმა“ 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. ეს იყო ცივილიზებული მსოფლიოს შეცდომა. ევროპას თავიდანვე არ უნდა დაეხუჭა თვალი. ახლა რა ხდება? — არის ახალი ერა, გამოჩნდა ახალი „აღოლფ პუტინი“, რომელიც მანიპულირებს მასობრივი განადგურების იარაღითა და ენერგოპოლიტიკით. უკვე წლებია, ასე გრძელდება და ევროპაც უთმობს.

კი მაგრამ, პუტინი ახლა თავისი მმართველობის უენტილია, როგორც ექსპერტები ამბობენ. თქვენი აზრით, რა ემუქრება მას?

— თუ ასე გაგრძელდა, ის მესამე მსოფლიო ომს დაიწყებს. ამიტომ ევროპა უნდა გამოფხიზლდეს. ყირიმის პროცესების მართვა რუსეთის მხრიდან ზღვარგადასული ვანდალიზმია. რას ნიშნავს რეფერენდუმის ჩატარება ოლქების და რეგიონების მიხედვით და სხვისი ტერიტორიის ასე მითვისება?! აფხაზეთში ჩვენც ჩავატარეთ რეფერენდუმი და უმეტესობამ ხმა მისცა საქართველოს ერთიან სივრცეში ყოფნას. ეს მოქცეული იყო საერთაშორისო ნორმის ფარგლებში. ჩვენდა სამწუხაროდ, როცა აფხაზეთის ტრაგედია მოხდა, დასავლეთმა წაუყურა, ინფორმირებული არ ვიყავით, მაგრამ სპეცსამსახურებმა კარგად იცოდნენ, რა ხდებოდა ამ რეგიონში და რა ცხელი წერტილი იყო, რომლის გაგრძელება მსოფლიოს სერიოზულად დააზარალებდა.

— ყირიმთან მიმართებაში მსოფლიო აქტიურობს, მაგრამ რუსეთს უკან დახვევის არაფერი ეტეობა.

— რუსეთი ყველანაირად ცდილობს, ჩამოერეცხოს პუტინის დანაშაული. რუსეთის სხვადასხვა ქალაქში აქციებიც კი იმართება ყირიმის რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. ასეთივე იყო შიტილერის ქმედებები: ის შევიდა ჩეხეთში, თითქოს გერმანული მოსახლეობის დასაცავად, შემდეგ შეიჭრა პოლონეთში და ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

დღეს გერმანია თავს იკავებს, ასე იქცევა იტალია, დიდი ბრიტანეთი, ეს მსოფლიო და მსოფლიო ეკონომიკური თვალსაზრისის გამო ხდება. ინაზები-

ან, მაგრამ მალე ცუდად მოუბრუნდებათ ასე განაზება. ამერიკის შეერთებულ შტატებს შედარებით მკაფიო პოზიცია აქვს. თუმცა, ყველა ერთნაირ შეფასებას აძლევს რუსეთის ქმედებას — ეს არის საერთაშორისო ნორმების დარღვევა — ქვეყნის ანექსია. გასული საუკუნის ისტორიული ქრონოლოგია იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მსოფლიო არ გაიმეორებს შეცდომას და რუსეთს სხვა ქვეყნის ტერიტორიის ოკუპირების ნებას არ მისცემს.

— ამიტომ ფიქრობთ, რომ რუსეთი შემდეგში დათმობს აფხაზეთსაც?

— არა მარტო ამიტომ. რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა დაკავშირებულია ენერგომატარებლებზე...

— და თუ ევროპა ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს, რუსეთი იზარალებს? კი მაგრამ პუტინმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ეს ბუმერანგის ეფექტს გამოიწვევს და ევროპაც დაზარალებდა.

— კი, ბატონო, არავისთვის არ მოიტანს ეს სარგებელს, მაგრამ, თუ დადებითი შედეგის მიღება გასურს, უნდა გაიჭიროვო. ევროპელი ლიდერები კი მხოლოდ საკუთარი მმართველობის პერიოდის უზრუნველყოფაზე ფიქრობენ, მაგრამ, ჩემი აზრით, მსხვერპლის გაღება ევროპასაც მოუწევს. სამწუხაროა, რომ გაეროს ქმედითი მექანიზმები არ აქვს და ის ზეგავლენას ვერ ახდენს მსოფლიოზე. გახსოვთ, ალბათ, რომ საბჭოთა კავშირმა 255-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება, ერთხელ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ერთხელ — საფრანგეთმა. ამით დაირღვა მშვიდო-

ბიანი წყობის სისტემა. ეს მშვიდობა დღემდე ვერ აღსდგა.

— მოდით, საქართველოს დაუბრუნდეთ, ვარაუდობენ, რომ, რაც უფრო მივუახლოვდებით ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს, მით მეტ საფრთხეს უნდა ველოდეთ რუსეთისგან. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— დიახ, ამბობენ, რომ რუსეთი ჩვენი მისამართით, „რბილ ძალას“ გამოიყენებს. ისევე, როგორც რუსეთის იმპერია აკეთებდა ამას მე-19 საუკუნეში. ეს იყო ინტელიგენციის გულის მოგება და შეფარვითი პოლიტიკა. ეს ეხება ფულს, ეკონომიკას. თუმცა, რუსეთს არა აქვს იმხელა ეკონომიკური რესურსი, რომ ეს გამოიყენოს. მას თავის ტერიტორიაზე ისედაც ბევრი თავისტივილი აქვს.

ჩემი აზრით, ყირიმის საკითხი ცოტა ხანი „საჯიჯგნ“ თემად დარჩება, მაგრამ ამჯერად რუსეთი ისე ვერ მოიქცევა, როგორც სხვას ექცეოდა. მაგალითად, ჩვენ. რუსული პოლიტიკა თანდათან ჩიხში შედის. ამ საუკუნეში უნდა დამთავრდეს იმპერიული ზრახვების აფიშირება და პოლიტიკის ეკონომიკაზე მიბმა.

— ერთი 20 წელიწადი რუსეთს არაფერი ემუქრება და ორი ათეული წელიწადი დიდი დროა.

— ნახეთ თქვენ 2-3 წელიწადში რა მოუვა რუსეთს, იმის მიუხედავად, რომ ამ ეტაპზე მას ასე თუ ისე მხარი დაუჭირა ჩინეთმა. ყველას თავისი ეკონომიკური ინტერესები აქვს და ეს წყვეტს ყველაფერს.

— დაბოლოს, მინდა გკითხოთ, როგორ მოგწონთ საქართველოს ხელისუფლების ცოტა არ იყოს ფრთხილი პოზიცია ყირიმთან დაკავშირებით. მაშინ, როცა ევროპის ნელ-ნელა დაბოკიდებულია თქვენთვის მიუღებელია?

— სიხისტემ ჩვენ სერიოზულად დაგვაზარალა. რუსეთს „გავუპრავეთ“ მისი ქმედებები ჩვენს ქვეყანაში გაუზრებელი და არათანმიმდევრული პოლიტიკით. ახლა ხელისუფლებას აქვს დიპლომატიური და სერიოზული მიდგომა და ეს კარგია. ზოგადად, ჩემი შენიშვნა ის არის, რომ ამ ხნის განმავლობაში ქვეყანამ ვერ შექმნა სწორი მოდელი, თუ როგორი უნდა იყოს ცენტრისა და რეგიონების, ავტონომიური ოლქების ურთიერთდამოკიდებულება...

— ეს უკვე საუბრის სხვა თემაა, თუმცა, აქტუალური. გამაძლობთ, ინტერვიუსთვის.

ესაუბრა თეა მოსია

პრობლემა

საპარლამენტო ორგანიზაცია „საპარლამენტო ორგანიზაცია“ (Inter-Parliamentary Union (IPU) გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად გამოაქვეყნა 2014 წლის მსოფლიო რუკა, რომელიც პოლიტიკაში ქალთა ჩართულობას ასახავს. გამოკვლევის თანახმად, ქალების პოლიტიკაში ჩართულობის თვალსაზრისით, ტენდენცია მზარდია. რა ვითარებაა საქართველოში? დაახლოებით, 190 ქვეყნისგან შემდგარ რეიტინგში რომელ ადგილს იკავებს იგი და რა წამახალისებელი ან დამაბრკოლებელი ფაქტორები არსებობს ქალებისთვის პოლიტიკისკენ მიმავალ გზაზე?

190-მდე ქვეყანას შორის, მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო 109-ე ადგილზეა ქალთა წარმომადგენლობით პარლამენტში და 42-ე ადგილზე — მთავრობაში. მსოფლიოს მასშტაბით, ქალების მონაწილეობის მაჩვენებელი პოლიტიკაში გაიზარდა, მაგრამ პარტიტეტისგან ეს მაინც შორს არის, ამბობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ერთ-ერთი კვაპილიოვა: „საქართველო ჯერჯერობით არ მიეკუთვნება იმ მონაწილე ქვეყნებს, სადაც ქალებს მონაწილეობა პოლიტიკაში მაღალია როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე პარლამენტში. პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა მხოლოდ 11-ია, რაც ჯერჯერობით, ძალიან შორს დგას სასურველი პარტიტეტისგან. ზოგადად რომ ვთქვათ, ის დაბრკოლებები, რაც ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას უკავშირდება, არის დაკავშირებული ბევრ ბარიერთან, მაგალითად, საარჩევნო კანონმდებლობასთან. თქვენ, ალბათ, იცით, მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში სპეციალური კვლევები დაწესებული, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობას, განსაკუთრებით — გადაწყვეტილების მიღების დონეზე. არის სხვა ობიექტური ბარიერებიც. არსებობს კონკრეტული სერვისების ნაკლებობა, ბევრ ქვეყანაში არის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, ქალებს არ შეუძლიათ, იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებები. როცა ქალთა მცირე მონაწილეობაზე ვლაპარაკობთ, ძალიან ბევრი მიზეზის დასახელება შეიძლება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, კვლევების არარსებობასთან მივყავართ ყველაფერს“.

გაუქმურასთან თუ კულტთან?

ანუ არის თუ არა ქალის ადგილი პოლიტიკაში?

ერთი კვაპილოვას თქმით, საქართველოში ქალებს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთ, გარკვეული წახალისება სჭირდებათ. ქართველ საზოგადოებაში არსებობს სტერეოტიპი, რომ ქალის როლი ოჯახით და სახლით შემოიფარგლება, დიასახლისობა პრიორიტეტია და რომ კაცია მთავარი, თუმცა, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ასეთი სტერეოტიპები ბევრ სხვა ქვეყანაშიც არსებობს და მათ შესაძლებლად გრძელვადიანი ინვესტიციები ჩასაღებები.

ფემინისტა დამოუკიდებელი ჯგუფის წევრის ბაია პატარაიას თქმით კი, საქართველოში პოლიტიკაში ქალთა მაღალი ჩართულობის გამოცდილება და კულტურა არ არსებობს. 1921 წლიდან მოყოლებული, როცა საქართველოს პარლამენტში 6 დეპუტატი ქალი იყო, მნიშვნელოვანი განსხვავება არ გვექონია, მიზეზად კი ბაია პატარაია საზოგადოებაში, ზოგადად, ქალის გენდერულ როლს ასახელებს, რომელთანაც წინააღმდეგობაში მოდის ლიდერი ქალის კონცეფცია: „ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება არის იმდენად პატრიარქალური და სხვა კვლევებიც აჩვენებს, რომ ოჯახის შიგნითაც კი, ზოგადად, გადაწყვეტილების მიღებაში ნაკლებად არიან ქალები ჩართულები და რეალურად ეს

პრობლემები დაკავშირებულია კულტურასა და მენტალიტეტთან“.


„რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე არ ფიქრობს, რომ მეტი ქალი პოლიტიკოსი ნიშნავს ავტორიტეტულ მსოფლიო სოციალური თემატიკის გაძლიერებას პოლიტიკაში. მას მიაჩნია, რომ ქალების თანაბრად წარმოდგენა შეუძლებელია, მაგალითად, სისხლის სამართლისა და თავდაცვის პოლიტიკას უფრო ლიბერალური სტილი, იმისათვის, რომ მეტმა ქალმა აირჩიოს პოლიტიკოსის კარიერა, არ არის საკმარისი მხოლოდ დროებითი წამახალისებელი ზომები, მაგალითად, როგორცაა კვლიერება პარტიულ სივრცეში. ამისთვის თავად პოლიტიკური პარტიების აქტიურობაა საჭირო: „დღეს ქართველი პოლიტიკოსი ქალები, რომლებიც აქტიურად

არიან ჩართული პოლიტიკაში და სიტყვა ვთქვით პოლიტიკაში, არ საუბრობენ ამ პრობლემაზე, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე. დღეს ჩვენს კანონმდებლობაში არსებული წამახალისებელი ზომები იმისათვის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა მეტი ქალი ჩაწერონ სიაში, არ შეიძლება საკმარისი იყოს, იმდენად, რომ პოლიტიკური პარტიისთვის ეს არ შეიძლება იყოს ერთადერთი მოტივაცია იმისთვის, რომ



პროვინცია

უმაღლესი რანგის პროფესიონალი, განათლებული და ულაღატო მეგობარი



ისში, ბათუმში, თელავსა და სხვაგან უმოკლეს ვადებში აშენდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დახურული და ღია ჩოგბურთის კორტები თავისი ინფრასტრუქტურით. მისი უშუალო დამსახურებაა ის, რომ 1977 წელს მოეწყო თბილისში მსოფლიოს პირველი ჩოგანოსნის საჩვენებელი გამოსვლება, მის დროს აშენებული თელავის ბაზა კი საკავშირო საჩოგბურთო ნაკრების საწვრთნელ ბაზად გადაიქცა. ბატონი ნოდარი ხელმძღვანელობდა 1979 წელს საკავშირო ჩოგბურთის ნაკრებს, რომელმაც ღირსეულად იასპარეზა დევისის თასზე. სწორედ მის მიერ აშენებულ ბაზებზე აღიზარდნენ ისეთი ჩოგბურთელები, როგორებიც იყვნენ ა. მეტრეველი, თ. კაკულია და სხვანი.

მან ღირსეულად იმოღვაწა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ელჩად რუსეთში.

გუსურვებთ ბატონ ნოდარს – რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი ორდენისა და მედლის, მათ შორის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერს, იუნესკოს, სახელმწიფო და საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემიების ლაურეატს – დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას თავის დიდ ოჯახთან ერთად.

ბრინჯ ადამიანები, ერისა და ქვეყნის წინაშე რომელთა დამსახურებაც გადაფასებას არ ექვემდებარება.
ასეთთა რიცხვს თამამად შეიძლება მიეკუთვნოს ბატონი ნოდარ მეტრეველი, რომელიც 1973-81 წლებში საქართველოს მშენებლობის მინისტრი იყო, დამოუკიდებელ საქართველოში კი – პირველი ელჩი რუსეთში.
ამ ამბავდარ ადამიანს დღეს 85 წელი უსრულდება.

ბატონი ნოდარი დაიბადა ქალაქ სამტრედიისში, მაგრამ იზრდებოდა წყალტუბოსა და ქუთაისში, რადგან მამამისი დიდი სამამულო ომის პირველივე დღიდან ფრონტზე იყო, ხოლო დედამისი, როგორც ექიმი-ფიზიოლოგი, მუშაობდა წყალტუბოში, სადაც ჯანმრთელობას უზრუნველდნენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაჭრილ უამრავ მეომარს.

1945 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის“ განხორციელებაში, რომელსაც მერე ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროფესია – „სამართო საწარმოთა მშენებლობა“ დაემატა, და იგი წარჩინებით დაამთავრა 1951 წლის მაისში.

ახალგაზრდა სპეციალისტი სამშენებლო საქმეს პირველად ეზიარა უკრაინის ერთ-ერთ უმსხვილეს სამრეწველო რეგიონში – ე.წ. „დონბასში“, რომლის მთავარ ქალაქ დონეცკში დაიწყო მუშაობა ცვლის ინჟინრად.

ეს პერიოდი ახალგაზრდა ინჟინრისთვის იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მალე მას სამშენებლო სამართველო უფროსად აწინაურებენ. სწორედ აქ გაიბრწყინა მისმა შემოქმედებითმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა, რაც უდიდესი სამთამადნო ობიექტების ვადებზე ადრე და უმაღლესი ხარისხით შესრულებაში გამოიხატა.

ასეთი წარმატებები არც საკავშირო პრესას დარჩა შეუმჩნეველი, რასაც გაზეთმა „პრავდაში“ რამდენიმე სტატია მიუძღვნა. ამ წარმატებას ახალი წარმატებები მოჰყვა, რის გამოც ნოდარ მეტმარია შვილს დონეცკის ოლქის უდი-

დესი სამშენებლო გაერთიანების – „დონეცკინმშენის“ ხელმძღვანელად აწინაურებენ.

ნოდარ მეტმარია შვილის უნარი, დაენახა თუ რა შედეგს მოიტანდა სიახლე მოცემულ ეტაპზე, ნიშნავდა შესაძლებლობის ცოდნას, ხოლო მოსალოდნელი შედეგის შეფასება მის მასშტაბურ აზროვნებაზე მეტყველებს. ეს ორივე თვისება მოჭარბებულია აქვს ბატონ ნოდარს, რაც მუდამ უზრუნველყოფდა მისი ჩანაფიქრისა და მიღწეული შედეგის იდეატურობას.

ბატონი ნოდარი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა დონბასში, სადაც სამთო საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების გარდა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს აშენებდა.

მისი წამოწყების – „მილიონი ვარდი ქალაქში“ – მიზეზი ადამიანის სიყვარულია და მისი პროცენტების გვირგვინიც სწორედ ეს არის. მეშახტეთა ქალაქის ვარდებით მორთვაში მწერალი ნიკოლაი გონჩაროვი „ნოდარის ხელნაწი“ განსაკუთრებული სითბოთი აღწერს და ის ფაქტი, რომ მან ამ საქმეში გამორჩეულად იღვანა, იუნესკოს პრემიათა და დასტურდა.

1973 წლიდან იწყება ნოდარ მეტმარია შვილის მოღვაწეობა საქართველოში, თუმცა, საქართველოს რესპუბლიკის მინდელ ხელმძღვანელობას სამშობლოში მისი გადმოყვანისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ვინაიდან დონეცკის ხელმძღვანელობა ადვილად ვერ თმობდა მას. მაგრამ, საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ბატონი ნოდარი მშენებლობის მინისტრად დაუბრუნდა საქართველოს.

მინისტრად თავისი მოღვაწეობა ბატონმა ნოდარმა იმით დაიწყო, რომ პირველივე ბრძანებით მშენებლობის მართვის სისტემა ჩამოაყალიბა. მინისტრი ხშირად უშუალოდ ადგილზე ასწავლიდა მშენებლობათა ხელმძღვანელებს დისპეტჩერულ მართვას, სადღეღამისო გრაფიკების შედგენას და შესრულებას. სულ მოკლე ხანში მშენებლებმა ისე გაითავისეს მართვის ეს სისტემა, რომ სადღეღამისო გრაფიკებით მუშაობაში მინისტრის ჩარევა საჭირო აღარ იყო.

შედეგმა არ დააყოვნა – სრულდებოდა სახელმწიფო გეგმები, ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დადგენილი ვადები, მკვეთრად გაუმჯობესდა შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხი, შეიქმნა სამშენებლო ინდუსტრიის, მსხვილი და მცირე მექანიზაციის ბაზები.

მისი მინისტრობის პერიოდში თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში აშენდა უამრავი საცხოვრებელი კვარტალი. ლოზუნგს – „არც ერთი მოქალაქე უზინაოდ!“ – აგრეთვე ბარაკებიდან მოსახლეობის გამოყვანის პროგრამას მთელი მასშტაბით ესხმოდა ხორცი, ამასთანავე აშენდა ქიმიური მრეწველობის კომპლექსი რუსთაველი, მადნეულის სამთომამდიდრებელი ფაბრიკა, ძირფესვიანად იქნა რეკონსტრუირებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, აშენდა სახელმწიფო კანცელარიის უნიკალური შენობა, ძირფესვიანად განახლდა ქართული კულტურის სიამაყე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, მრავალი სასკოლო შენობა და სოციალური სფეროს სხვა ობიექტი (მათ შორის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო #100 ადგილზე) და მრავალი სხვა, რომელთა სრულწესას საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს.

მიუხედავად დროის დიდი დეფიციტისა, რასაც მისი ძირითადი საქმიანობა მოითხოვდა, ბატონი ნოდარი გახლდათ სპორტის აქტიური ქომაგი. ჯერ კიდევ დონბასში მისი გატაცება იყო ჩოგბურთი. ტრადიციას მან არც საქართველოში უღალატა და აირჩიეს კიდევ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავკაცად. სწორედ აქ, დონეცკში წამოყენებული ლოზუნგის – „მილიონი ვარდი ქალაქში“ – ანალოგიით, წამოაყენა ახალი ლოზუნგი სპორტულ მოძრაობაში მილიონი ქართველი ჭაბუკისა და გოგონას ჩაბმის შესახებ. სწორედ ამიტომ მისი ხელმძღვანელობით თბილისში, ქუთა-

ჯემალ ბაგვაშვილი, ზოგადან ზატუაშვილი, ოთარ კაკაურიძე, გივი კვიციანი, ოზარ კიკნაძე, ალერკინ კოპლატაძე, ოზარ მარგველაშვილი, ლევან მახვილაძე, ნუზარ მგვალიაძე, მირაზ ნიკოლაიშვილი, დიმიტრი ტყეშელაშვილი, კოტე ურანაიშვილი, ირაკლი შორაღანიანი, ევგენი ძარუშიძე, ნოდარ ჩიხლაშვილი, გუბა ჭოხონელიძე, ოთარ ჯღაბაძე.

ქალები იყვნენ წამყვან პოზიციებზე გამსვლელ სივრცეში ჩასმული, იმით რომ საზოგადოებრივად არ არის ამის დაკვირვება, მოთხოვნა, რასაც უნდა ასრულებდეს პოლიტიკური პარტია, და არც ქალებისთვისაა პრიორიტეტული, რომ ჩაერთონ პოლიტიკაში“.

2011 წელს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონში შესული ცვლილებების მიხედვითაც, პარტიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 %-ით გაზრდილ დაფინანსებას მიიღებდა, თუ პარტიულ სიაში 20 პროცენტი ქალები ყოფილებოდა. 2014 წლის თვითმართველობის არჩევნების შემდეგ კანონში კიდევ შედის ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 30 %-იან ფინანსურ დანამატს მიიღებენ ის პარტიები, რომელთაც 30 % ქალები ეყოლებათ პარტიაში. თუმცა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ იურისტი ნინო ჯანაშია ამბობს, არც ამ დროებითმა წამახალისებელმა მეთოდმა იმოქმედა განსაკუთრებულად და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარლამენტში ქალებმა სულ 18 მანდატი მოიპოვეს. ნინო ჯანაშიას თქმით, პარტიებთან შეხვედრებიც ცხადყოფს, რომ წამახალისებელი ფაქტორების მიუხედავად, თავად საზოგადოება არ არის მოწოდებული, აირჩიოს პოლიტიკოსი ქალები: „საკანონმდებლო დონეზე ეს პრობლემა ნაკლებად არის, ეს უფრო არის საზოგადოების მიდგომის დონეზე არსებული საკითხი, ანუ პარტიების ჰგონიათ, რომ მათი მოგების შანსები მცირდება, თუკი, მაგალითად, საკრებულოში პროპორციულ სივრცეში პირველ ათეულში ქალებს წარმოადგენენ და ეს შეიძლება ასეც იყოს, საზოგადოების მიდგომიდან გამომდინარე“.

ნინო ჯანაშიას თქმით, ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ნაკლებად უწყობს ხელს პოლიტიკოსი ქალების წარმომჩენას და ასე თუ ისე საერთაშორისო სტანდარტთან მორგებულ პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის გარდა, საჭიროა საარჩევნო სისტემების ადაპტირება, რათა ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში გაიზარდოს.

ენიო ხარაძე

კაკალ გულში

წარტილოვანი ფრაზები

- მაპზე უკეთესი ხომ გვაქვს და უფლის სამიტზე მაპი რომ მოგვცენ, ერთი ნაბიჯით უკან დახვევა გამოდის.
- არ გვინდა მაპი არ გვინდა ბნელ წარსულში დაბრუნება!
- სანამ პარაფორმები გავხდებით, დაკითხვის ოქმს მტრედს ან მოტოციკლეტიან მილიციონერს ატანდნენ. ასლა სკაიმიტაც შეიძლება.
- აი, რას ნიშნავს ვეროპა!
- „სუბიექტურ“ გადაცემას, ასეთი სათაური აქვს: „საქართველო MAP-ის მოლოდინში“.
- გოდო რომ მოვიდეს?
- „ეს შენ გეგება – ისევე გვისმენენ“

- ეს მე მესება და – ევა გიგაურის და კიდევ ასზე მეტი ორგანიზაციის, ლამის ისტერიული გამოსვლების მოსმენას, მირჩევნია ისევე მე მისმინონ.
- უმტონს უთქვამს, თუთბერიძის რომ ვხედავ, ჩემი ახალგაზრდობა მახსენდებოდა. დიდი ევროპული კარიერა ელის თეას.
- ვაშაქემ იმით მოხსნა კანდიდატურა, რო კარგად იცის გამსვლელი არაა და დეპუტატობასაც დაკარგავდა. მელიას „მოუღიბნა“ და შეატოვა წაგებული კანდიდატის როლი. აფერისტი!
- ბეზრუკოვა აქვია, უიო, ეს რა მომივიდა, ჩემი საზიზღარი ქვეყანა

რომ მიეგარსო. თავზე ნაცარი დაუფრია და ფეხშიშველი აპირებს პილიგრიმობას. იაცენიუკს შემოუთვლია, არ ინერვიულოთ, რუსლანას გამოგვიგზავნით მაგიერშიო. არადა ვის უფრო დააკლდა იმ კონცერტის, თუ სპექტაკლის ჩაშლა, ქართველ მაყურებლებს, ბეზრუკოვს, თუ იაცენიუკს? რა ვიცო, რა ვიცო...

- ვისაც ჩემი დალაგებული არ მოგწონთ, მოდიეთ და გადააღაგეთ!
 - მერიის მიერ დაგებულ ასფალტს გარანტია ნ წელი ჰქონია.
 - არ უნდა ჩაატანო თითო ნაციონალი თითო ქუჩაზე?
 - ასფალტს გვაფეხდრინდენ 9 წელი
- ამოკრება
ბია ბაბრიძე

კაკალ გულში

ტელეკომპანია „ალანია“ დაუშკნების დღიდან სახელმწიფო სახსრებით ფინანსდებოდა

პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნით, ტელეკომპანია „ალანია“ წლების განმავლობაში, ხელისუფლების ნებითა და ხელშეწყობით, ყველა წესის დარღვევით მუშაობდა. კომისიის შეფასებით, „ალანია“ შემთხვევა „სრულიად განსხვავებული და უნიკალურია“.

„ტელეკომპანია „ალანია“ მიმართ მარგველიერელი კომისიის თითოეული წევრი წლების განმავლობაში მუშაობდა უფურცლად მუშაობდა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობისათვის, თუმცა სამართლებრივ გარემოში არ არსებობდა. მარგველიერებელმა კომისიამ ვერ

მოგვანოდა ვერც ერთი ოქმი, სსდომის ჩანაწერი, მიმოწერა ან რაიმე სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დადასტურებდა სულ მცირედ ინტერესს მაინც კომისიის წევრების მხრიდან იმის გასარკვევად, თუ რა წარმონაქმნი იყო ტელევიზია, რომელიც ყოველი ჩვენგანის ოჯახში მაუწყებლობდა? რომელი სისშირით სარგებლობდა? და როგორ მოხდა, რომ მარგველიერებელი კომისიისათვის გვერდის ავლით შესაძლებელი გახდა მსგავსი საქმიანობა? – ვკითხულობთ საგამოძიებო კომისიის დასკვნაში.

ინტერპრესი

კრიზისი

პოლიტიკური კრიზისის უკრაინაში, რომლის კულმინაცია, როგორც ჩანს, 16 მარტს დაიწყო...

ამას ელემენტარული სტატისტიკაც მოწმობს: ბოლო კვირების მანძილზე მსოფლიოს სამასმა უმდიდრესმა კაცმა...

არადა, სავსებით შესაძლებელია, რომ მსოფლიო ბიზნეს-ელიტამ გაცილებით უფრო დიდი ზარალი ნახოს...

საქმე ისაა, რომ რუსეთის ფედერაციის



ყირიმული დაპირისპირებიდან ფიქლის გაზის რეპორტაჟი

საბჭო ამჟამად ქვეყანაში მოქმედი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ქვეყნების კუთვნილი კომპანიების აქტივების კონფისკაციასთან დაკავშირებით...



ქალაქების ანგარიშებს გაყინავს, რუსეთის სელისუფლებამ მათ ამერიკის მთავრობის მიერ გამოშვებული ობლიგაციების გაყიდვის რეკომენდაციას მისცემს.

საომარ მოქმედებათა დაწყების მაღალმა რისკმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე საკმაოდ გააუფასურა მთელი რიგი დიდი რუსეთული და უკრაინული კომპანიის აქციები...

ება ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების რისკს ზრდის, რის გამოც დასავლეთის საკრედიტო დაწესებულებებმა, შესაძლოა, რუსეთულ კერძო სექტორზე კრედიტების გაცემა შეაჩერონ.

ამასთან, გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსები ქვეყნის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოუწოდებენ, გააუქმოს ამერიკული გათხევადებული ბუნებრივი გაზის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები...

საქმე ისაა, ფიქლებიდან იაფი გაზის ამოღებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის წყალობით, ხუთიოდე წლის წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველად გაუსწორო რუსეთს ბუნებრივი გაზის მოპოვებაში და მისი ექსპორტირებაც კი დაიწყო.

ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ფიქლის გაზის მოპოვების ათმილიარდ დოლარიან კონტრაქტს, ამერიკელთა ინიციატივით, უკრაინამ „როიალ დატრ შელთან“ შარშან მოაწერა ხელი.

ამდენად, ყირიმის სტატუსით გამონეული დაძაბულობა მრავალმხრივი პრობლემაა, რომელიც მსოფლიოს შემდგომი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც უამრავ კითხვას აჩენს.

ოთარ ტურაბალიძე

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306ნ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვეთიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი ცომიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- 1. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №150, მე-8 სართული, ბინა №22, 79.18 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 04.01.02.845.01.022);
2. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
3. უძრავი ქონების საწყისი ფასი: 4319.88 ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური - 172,79 ლარი;

- 4. აუქციონის დაწყების დრო: 2014 წლის 26 მარტს, 10:00 საათი;
5. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგუთის ქ. №3;
6. უძრავი ნივთის მესაკუთრე: გიორგი ცომია (პირადი №42001027910), მისამართი: ქ. ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №150, ბინა №22;
7. მოვალე: გიორგი ცომია (პირადი №42001027910), მისამართი: ქ. ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №150, ბინა №22;
8. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
9. აუქციონის პირობები: აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს; მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შე-

თანხებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბუნეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვეთიბი ბანკი ჯორჯია“.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექცევიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები საჩუქარი-ციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 26 მარტს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგუთის ქ. №3.



– აი, რა მინდა, გითხრათ, – სერიოზულად წამოიწყო ხრუშჩოვმა – ყოველივე ეს არაბუნებრივია, ვიცავთ ფორმალობას და საკუთარ თავს ათას დაბრკოლებას ვუქმნით. მე ვიცი, რომ აფხაზების ძალიან დიდი ნაწილი რუსულად მეტყველებს და აზროვნებს, თქვენ კი საქართველოს შემადგენლობაში ხართ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ერთიან დიდ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ვის სჭირდება ასეთი გაუგებრობები, ხომ სედავთ რუსეთში უმტკივნეულოდ დაუთმო ყირიმის ოლქი უკრაინას, თუ არ ვცდები, ყირიმში საქართველოზე დიდია. დაუთმო იმიტომ, რომ ყირიმში უკრაინის ეკონომიკური სივრცის ნაწილი უფროა, ვიდრე რუსეთის, ფაქტობრივად, იგი უკრაინის სამხრეთის გაგრძელებაა. – ხრუშჩოვი გაჩუმდა და ბლაჟბას შეხედა, რომელიც მოჩვენებითი ყურადღებით უსმენდა, თუმცა, შინაგანად იმდენად დაძაბული იყო, რომ პიჯაკის ლილის წინკა დაინყო.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, – გააგრძელა ხრუშჩოვმა, – ქვეყნის ინტერესები მოითხოვს ერთიანი საკურორტო ოლქის შექმნას, რომლის ცენტრიც იქნება სოხუმი, მის შემადგენლობაში შევა სოჭი-დაგომისის საკურორტო რაიონები. ფაქტობრივად, ხომ მართლაც ასეა, აფხაზები საკურორტო ზონაა, ასევე საკურორტო ზონაა სოჭის მხარეც, არ ჯობს შეიქმნას ერთიანი ინფრასტრუქტურის მქონე ოლქი, მძლავრი საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიით?

– ჩვენ სიამოვნებით შევიერთებთ სოჭი-დაგომისის რაიონებს, სხვათა შორის, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, საქართველოს ტერიტორიები X-XI საუკუნეებში ტამანამდე იყო...

ხრუშჩოვს სახეზე გაკვირვება გამოხატა, მან ტუჩები მოკლა, რაც ავის მომასწავლებელი ნიშანი იყო. კარგად იცოდა, რომ ბლაჟბა არაა გულბრყვილო კაცი, ახლა კი თავს ისულელებს, ეს კი თავხედობაა, რომელიც არ ეპატიება პარტიულ მუშაკს. – ნუ სულელობთ, ბლაჟბავ, ჩვენ ვსაუბრობთ აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე და შემდეგ ერთიანი საკურორტო ზონის შექმნაზე, ხომ სედავთ, როგორ დამშვენდა სოჭი-დაგომისის მიმართულება, თუნდაც ბიჭვინთა აილეთ, ეს ხომ სამოთხეა, აი, ასეთი მშენებლობები წავა შეგი ზღვის მთელ ტერიტორიაზე.

ახლა ბლაჟბამაც სერიოზული სახე მიიღო, მიხვდა, რომ აუცილებლად უნდა ეპასუხა, მაგრამ აზრებს ისე ვერ ალაგებდა, როგორც საჭირო იყო. – ძელი საქმეა, ნიკიტა სერგის ძე, – ამის თქმა მოახერხა.

– ვიცი, მაგრამ, თუ აფხაზი ხალხის ნება იქნება, დაუძლეველი არაფერია.

– იქნებ ვასილ პავლეს ძეს მოელოდნენ. – თქვა ბლაჟბამ, – თუ ნებას დამრთავთ, მე დაველაპარაკებ.

ხრუშჩოვმა დამცინავად გაიღიმა, შემდეგ ბლაჟბას მკლავში ხელი მოჰკიდა და ხეივანისაკენ წაიყვანა, სადაც უკვე ლამპიონები ენთო.

– მე მხოლოდ აფხაზი ხალხის სურვილის გაგება მინდა, მთავანაძეს მე თვითონ დაველაპარაკებ.

იმ ღამით შეიტყო საქართველოს კპ ცენტრის პირველმა მდივანმა საუბრის შინაარსი. ღამის 3 საათზე სოხუმში დაბრუნებულმა ბლაჟბამ სახლში დაურეკა და დანერვილებით მოახსენა ყველაფერი, „ეცადეთ, ხშირად იყოთ მის სიახლოვეს, თქვენს გარეშე ნუ შეახვედრებთ სხვებს“, – უთხრა მთავანაძემ.

ხრუშჩოვმა სწორად გაიგო ბლაჟბას „მიამიტობა“. მოსკოვში დაბრუნებულმა იხმო სუსლოვი და მასთან გააგრძელა საუბარი.

– თქვენ იცით, რომ აფხაზეთში ქართველები აფხაზი ხალხის გენოციდს ეწევიან? – დასვა კითხვა ნიკიტამ.

მიუხედავად ცუკას მდივანი ჩანაფიქრს, თვითონაც იპყვ აზრისა იყო.

– ვიცი, ნიკიტა სერგის ძე, ჩვენ ძალიან ბევრ წერილს ვიღებთ, აფხაზები კატეგორიულად მოითხოვენ საქართველოსგან გამოყოფას და რუსეთის ფედერაციასთან შეერთებას, – უპასუხა სუსლოვმა.

ყირიმის ბარუქა. ნაკობინება აფხაზეთზე

სეთის ფედერაციასთან შეერთებას, – უპასუხა სუსლოვმა.

– მიხეილ ანდრიას ძე, ამ შემთხვევაში სურვილი მხოლოდ მეორეხარისხოვანია, უმთავრესი სახელმწიფო ინტერესებია, გთხოვთ, დამუშავოთ საკითხი ერთიანი საკურორტო-ტურისტული სივრცის შექმნის შესახებ საჭირო ინფრასტრუქტურით, მმართველობით. არ ვარ წინააღმდეგი ამ მიზნით აფხაზეთის შემადგენლობაში შევიდეს სოჭი-დაგომისის მხარეც.

– ეს შეუძლებელია, ძლივს ამოვალბებინეთ საქართველოს ისტორიიდან ის თავები, რომლებიც „მტკიცდებოდა“, რომ VIII-XI საუკუნეებში ეს მხარე საქართველოში შედიოდა, – თქვა სუსლოვმა.

– ნუ ჩქარობთ, ეს საკითხი უნდა დავაყენოთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი გახდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, უნდა შევეცადოთ, რომ ეს აზრი მოდოდას აფხაზებისგან, ხომ გადავიციტო ყირიმში უკრაინას და რუსმა ხალხმა ეს ნორმალურად აღიქვა. ერთი სიტყვით, საჭიროა მუშაობა, ასეთი წინადადება უმტკივნეულოდ უნდა იქნეს მიღებული, ამ საქმეში ბლაჟბა არ გამოგვადგება და, საერთოდ, ვიფიქროთ, საჭიროა თუ არა იგი აფხაზეთში.

სუსლოვმა მეორე დღესვე დაავალა ცუკას შენაბამის განყოფილებას წინადადებების მომზადება. გადამყდა შექმნილი ვრცელი მენცერული ნარკვევი აფხაზეთის ისტორიის შესახებ, რომელშიც დასაბუთდებოდა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა. რუსეთის ცნობილ ისტორიულ სამეცნიერო ცენტრებში მოიხილეს აფხაზი ახალგაზრდები, მათ შეღავათით იღებდნენ ასპირანტურაში, აძლევდნენ არქივებში მუშაობის საშუალებას, სადაც უნდა ყოფილიყო დოკუმენტები, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას „დამტკიცებდა“. „ასეთი დოკუმენტები არ არსებობს“, – მიუგო კითხვაზე სუსლოვს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა. „არ არსებობს და თქვენც შექმენით“, იყო პასუხი. შექმნეს, რითაც „დაადასტურეს“, რომ ჯერ კიდევ ივანე მრისხანეს დროიდან მქონდა რუსეთს აფხაზეთთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ურთიერთობა.

1956 წლის შემოდგომაზე, სუსლოვი დასასველებლად ჩავიდა აფხაზეთში, ძირითადად იმისთვის, რათა მოლაპარაკებები ეწარმოებინა სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებთან. გააქტიურდნენ ცუკას განყოფილების გამგებები, აპარატის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, ბიჭვინთის სამთავრობო კომპლექსში მთელი წლის განმავლობაში ისვენებდნენ ცუკას მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც სერიოზულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ აფხაზებთან, ქმნიდნენ საჭირო ფონს.

მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ბლაჟბასა და აფხაზეთის ქართველი ხელმძღვანელების გარეშე, მალულად. თუმცა, თავიანთი ზრახვები მაინც ვერ დამალეს. ხრუშჩოვი 1956 წლის ბოლოს ბიჭვინთში ერთი კვირით ჩამოვიდა, ვითომდა მოხსენების დასაწერად, სინამდვილეში კი ბლაჟბასა და აფხაზეთის პოზიციის საბოლოოდ გასარკვევად. მან არა მარტო თავისთან მიიპატიჟა აფხაზები, არამედ თვითონაც კომპონენტით“ ესტუმრა აფხაზურ ოჯახებს, შეხვდა უზუცუნებს, ცდილობდა „გულლი“ საუბრების ჩატარებას, იქცეოდა როგორც „სახალხო“ ლიდერი.

ბიჭვინთაში ხიშტივის ოჯახში სტუმრობისას, ერთ-ერთმა უზუცუნმა ადღევრძელა ნიკიტა, რო-

გორც დიდი მოღვაწე და აფხაზი ხალხის ქვშმა-რიტი მეგობარი და თქვა:

– ნიკიტა სერგის ძე, ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვცხოვრობთ ამ მიწაზე. შემდეგ ქართველებიც დასახლდნენ, სომხებიც, ცალ-ცალკე სოფლებიც შექმნეს და გვედავებოდა ჩვენს მიწას, ამას ვეგუებოთ, მაგრამ მათ უფროსობაც უნდათ. აი, როდესაც თქვენ ლაპარაკობთ რუსულად, ჩვენ გვესმის, იმიტომ რომ ყველა აფხაზმა იცის რუსული, როდესაც ქართულად გველაპარაკებინან, არ გვესმის, იმიტომ რომ არც ერთმა აფხაზმა არ იცის ქართული. რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ საქართველოს შემადგენლობაში, როდესაც ქართული არ ვიცით და რატომ უნდა გვყავდეს აფხაზეთში ქართველი უფროსად, ჩვენ გვინდა ვიყოთ რუსეთის შემადგენლობაში. ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ ერთი სახელმწიფო გვაქვს.

ხრუშჩოვი ისე აღფრთოვანდა ამ სადღევრძელთა, რომ თვითონ მივიდა მასთან და მოითხოვა „ბრუდერშაფტი“ ლენინის დალევა, შემდეგ სამჯერ გადააკონცა გაოცებული აფხაზი და უთხრა, რომ დადიანის ის მისი მეგობარია.

– მე კიდევ მაქვს თხოვნა, – თქვა აფხაზმა, როდესაც გაღიმებული ნიკიტა თავის ადგილს დაუბრუნდა.

– დიდი ყურადღებით გისმენთ, – თქვა ხრუშჩოვმა და გვერდით მჯდომ ბლაჟბას გადაულაპარაკა – შენ კი ამბობდი, ეს შეუძლებელიაო.

– ნიკიტა სერგის ძე, ამ ოჯახის უფროსი დროფი ხიშტი სასჯელს იხდის ციმბირში, მას თხოულობი წელი აქვს მისჯილი.

– რატომ, რა დააშავა? – შეიცხადა ნიკიტამ.

– მან იგივე თქვა, რაც მე წელან მოგახსენეთ, 1948 წელს დააპატიმრეს.

– ნუთუ ასეთი რამეებიც ხდება? – ისევ გადაულაპარაკა ნიკიტამ ბლაჟბას, რომელიც გაოცებული იყო ნათქვამით, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ დღევანდელი სხვა რამისთვის იყო დაპატიმრებული, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ ამ შემთხვევაში ამის თქმა არ შეიძლებოდა.

– ჩვენ გავერკვევით ამ საკითხში და ვფიქრობთ, მოვავარებთ. – თქვა ნიკიტამ.

ორივე კვირის შემდეგ დროფი ხიშტი როგორც გამირი, ისე დაუბრუნდა ოჯახს.

ბიჭვინთიდან ხრუშჩოვის წასვლის მეორე დღესვე გამოგზავნა მთავანაძემ სოხუმში ცუკას ერთ-ერთი მდივანი, რომელიც დილაზე მოლაპარაკებაზე უნდა წავსულიყო, რომელიც ცუკას უნდა ელაპარაკებინა, მაგრამ მთავანაძე უკვე ფეხზეა და მიდის მიკროფონისაკენ.

– რა მოხდა, ვასილ პავლეს ძე, წინასწარ რატომ არ შემითანხმდით? – ხრუშჩოვის დაბნეულობა ეტყობა.

– ვერ მოვასწარი, ნიკიტა სერგის ძე, დოკუმენტი პრეზიდენტის დანებების წინ მივიღე, მე შექმნება მხოლოდ რამდენიმეწუთიანი განცხადება.

პრეზიდენტის წევრები ყურადღებით მიაჩერდნენ მთავანაძეს.

– ამხანაგებო, მე არა მაქვს უფლება არ ჩაგა-

ყენოთ საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, რაც აფხაზეთში ხდება, – პრეზიდენტის წევრებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მთავანაძემ წამიერი პაუზა გააკეთა და გააგრძელა...

– ნიკიტა სერგის ძე, მაშინ როდესაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აიღო გეზი საბჭოთა ხალხების ურდევ მეგობრობაზე და დავემთ სეპარატიზმი, როგორც შეუთავსებელი კომუნისტურ იდეოლოგიასთან, საკავშირო ცუკას ზოგიერთი თანამშრომელი, აფხაზებთან ეწვევა სეპარატისტულ მოლაპარაკებებს და ეს ხდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გვერდის ავლით. სამწუხაროდ, ამ საქმეში ცუკას საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებიც არიან ჩართული, – მთავანაძემ ლურჯი საქალაქო, რომელიც ხელში ეჭირა, ოდნავ ზევით ასწია და ხრუშჩოვისაკენ გაემართა, – აქ არის ყველა საჭირო დოკუმენტაცია. – თქვა მან და საქალაქო ხრუშჩოვს წინ დაუდო.

– ეს რაღაც ახალია, – წარმოთქვა ხრუშჩოვმა და წამოდგა, შემდეგ დაუმატა, – გავერკვევით, გავერკვევით.

იმავ საღამოს, სუსლოვთან ერთად გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც ტაქტიკურად, მაგრამ მკაცრ ფორმებში ატყობინებდა იმას, რაც ორივემ კარგად იცოდა.

– ბლაჟბა გვალატობს. – თქვა ნიკიტამ.

– ამ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა, როგორც ჩანს, საკითხი ჯერ არ მომწინფებულა, ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გავაგრძელოთ, მოგვიწვეს მეთოდების შეცვლა, ბოლოს და ბოლოს, ხალხის ნება უნდა აღსრულდეს.

მკითხველო, ნება მომეცი მცირეოდენი გადახვევა გავაკეთო.

მიხელი ბლაჟბა აფხაზეთში ჩასვლისთანავე გამეცნო. ეს იყო 1975 წლის ბოლოს, როდესაც მე დავინიშნე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად და საცხოვრებლად აფხაზეთში გადავიდი. სოხუმში ჩასვლიდან ორი-და ბლაჟბა, გამეცნო და საკმაოდ ხანგრძლივად ვისაუბრეთ... ახლოვდებოდა ზამთრის მისაღები გამოცდები და მეგონა, საპროტექტოროდ მოვიდამეთქი. როდესაც ვკითხე „რით შემიძლია გემსახუროთ, ხომ არაფერში ვარ საჭირო?“ – მიპასუხა, რომ იგი ჩემს გასაცნობად მოვიდა.

– მე აფხაზი კაცი ვარ და ჩემთვის არაა სულერთი, თუ ვის აგზავნიან თბილისიდან. აფხაზეთი რთული რეგიონია, აქ ბევრის ინტერესები იკვეთება, ავტონომიური რესპუბლიკა მრავალფეროვნია, დაუფიქრებელი სიტყვასაც კი შეუძლია საერთო საქმისათვის ზიანის მიყენება, ამიტომ საჭიროა განთავსებული ხასიათის, განათლებული ხალხის გამოგზავნა, რომლებიც ჩვენს პრობლემებშიც გაერკვევიან და აფხაზებს არ უზიდავთ, წამოვიდნენ სხვის ანკესს. მე კმაყოფილი ვართ თქვენთან შეხვედრით და თუ ნებას დამრთავთ, ზოგჯერ გენვებით, – მითხრა მან.

იმ დღეს ამით დამთავრდა ჩვენი გაცნობა. აფხაზეთში 16 წლის მუშაობის მანძილზე კიდევ ბევრჯერ მქონდა შეხვედრა ამ საინტერესო კაცთან, ხოლო ის, რაც ზევით მოგახსენეთ, გვიამბო 1986 წელს მე და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ოთარ ზუხბაიას (შემდგომში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე).

ხრუშჩოვის მითითებით ბლაჟბა გაათავისუფლეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანის თანამდებობიდან და სიცოცხლის ბოლომდე იგი, როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ერთ-ერთი ამავესავე საშემსრულებელი დაწესებულების ფილიალში მუშაობდა. მაინცდამაინც პატივდებული არ იყო აფხაზებისაგან, სამწუხაროდ, არც ქართველებს ახსენებდობათ მისი ღვაწლი. არ ვიცი ქართველებმა ამაგის დაფასება და არც ადამიანების გაფრთხილება. ახლახან გავიგე, იგი გარდაცვლილა და მწეწინა, ქართულ გაზეთებში მასზე რომ არაფერი დაინერა.

ნაკობინება მარტაშაძე.
თავი წიგნიდან „ხრუშჩოვი“.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აფხაზეთში არსენი იაცენიუკის განცხადება გააკრიტიკეს

სოს უმმა ცრუ და პროვოკაციული უწოდა უკრაინის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის არსენი იაცენიუკის გამონათქვამს აფხაზეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.


თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ უმაღლეს რადაში 11 მარტს თავის გამოსვლაში იაცენიუკი ამტკიცებს, რომ აფხაზეთში ეკონომიკური ნგრევის და უმუშევრობის ფონზე გამეფებულია კორუფცია, უკანონობა, ბანდიტიზმი და იარაღით ვაჭრობა.

„სწორედ ასეთი სახით ხატავს არსენი იაცენიუკი ყირიმის რესპუბლიკის მომავალს, უკრაინის შემადგენლობიდან მისი გამოხვედის შემთხვევაში“, - აღნიშნულია განცხადებაში.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკრაინისგან განსხვავებით, სადაც „ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს შეიარაღებული გადატრიალების შემდეგ“, აფხაზეთი, მართალია პატარაა, მაგრამ შემდგარი სახელმწიფოა, სადაც ხელისუფლება ყალიბდება ლეგიტიმური კონსტიტუციური, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების გზით.

ადრე არსენი იაცენიუკმა უმაღლესი რადის ტრიბუნლიდან განაცხადა, რომ ყირიმის ამჟამინდელი მინისტრთა საბჭო არალეგიტიმურია, ნებისმიერი რეფერენდუმი ავტონომიაში არ იქნება მიღებული მსოფლიო გაერთიანების მიერ.

ამ დროს მან მაგალითად მოიყვანა თვითგამოცხადებული რესპუბლიკები სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში, სადაც „ხალხს არ აქვს არც ხელფასი, არც სამუშაო, არც უსაფრთხოება“.



დედამიწის ზურგზე



უკრაინაში პროტესტის მასობრივი აქციების დროს დაღუპულთა რიცხვი 104 კაცამდე გაიზარდა

კვირში შეტაკების დროს მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა ევრომაიდანის აქტივისტი, ქალაქ ლვოვის მცხოვრები 1986 წელს დაბადებული ოლგა ბურაია. პოლონეთში გარდაიცვალა ქალაქ ჩერნოვცის მცხოვრები ვასილი აქსენინი, რომელმაც მძიმე ტრავმები 20 თებერვალს კიევის ცენტრში შეტაკების დროს მიიღო.

შირიმის დაპარტის ბაიომ უკრაინა მზადება, ბაიომიროს საძირკველს მსოფლიო დსთ-დან 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გამოვიდა

როგორც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრეი დეშჩივამ განაცხადა, ქვეყანა შეიძლება გამოვიდეს თანამეგობრობიდან მისი „უმოქმედობის გამო“ ყირიმში. შესაძლო დემარშს კიევი ოფიციალურად არ უკავშირებს ევროკავშირთან მოსამზადებელ დაახლოებას, რომელიც შარშან წლის ბოლოს ლამის არ ჩაიშალა.

უკრაინის პრაზიციენტის მოვალეობის შემსრულებელმა შინთაბაზა პარლამენტს, მიმართოს ბაიროს შირიმში უკრაინის სიტუაციასთან დაკავშირებით



დოკუმენტის ტექსტში ნათქვამია, რომ, გაეროს მიერ აღიარებული უფლების თანახმად თავდაცვის შესახებ, უკრაინა იტოვებს უფლებას, აუცილებლობის შემთხვევაში მიმართოს ნებისმიერ სახელმწიფოს ან კოლექტიური უსაფრთხოების რეგიონალურ სისტემას მისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის აღდგენაში დახმარებისთვის.

ისრაილმა „აფთქაზელი სინყხარის“ საპასუხოდ შეუტია დაახლოებით 30 ოკუპირებული ლაზის სიძლორში

დარტყმებს დაჯგუფება „ისლამური ჯიშადის“ ობიექტებს აყენებდა სამხედრო-სამაჟორო ძალები და სატანკო ქვედანაყოფები. წინა დღით ამ ორგანიზაციის ბოვეიკებმა იკისრეს პასუხისმგებლობა ისრაელის ტერიტორიის მიმართულელებით მასობრივ სროლებზე. შეტაკებამ ისრაელელებს სერიოზული ზიანი ვერ მიაყენა, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობა აპირებს, მოიწვიოს ექსტრემალური თათბირი.



ფაქტი: ერთი ქანდაკების აგება

„გაუპატიურებული ევროპა“

2013 წლის 25-31 ოქტომბერს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა წერილი „პოლონეთში გამოჩნდა საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი, რომელიც ქალს აუბატიურებს“. წერილში მოთხრობილია პოლონეთის ქალაქ გდანსკში მომხდარი ამბავი. ქალაქში, სადაც ძეგლად დგას საბჭოთა ტანკი T-34, სამხატვრო აკადემიის სტუდენტს ბოგდან შუმჩიკს მასლობლად გახუთავებია საკუთარი ქმნილება, რაც პოლონელ ქალზე საბჭოთა ოფიცრის ძალადობას გამოსატყვევებს. ადგილობრივ პრესაში მოქანდაკეს განუცხადებია, რომ ქანდაკება არის მისი შეხედულება ისტორიაზე და რომ იგი ტანკ T-34-ის შესანიშნავი დამატებაა.

ანუ „პიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“



თუ იმ ტანკში გოდერძი მახარაშვილის მსგავსი ქართველი ჯარისკაცი იჯდა და „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“, ეს წინაპრის შეურაცხყოფა და მის მიერ დაღვრილი სისხლის გაუფასურების მცდელობაა.

ამ „ქანდაკებაში“ ავტორი ვერ მალავს ისტორიის უტოღინრობას და ფაქტებს ზერელედ აღიქვამს. ჯარისკაცს თავზე ახურავს მუზარადი, რომლის მსგავს მხოლოდ ამერიკელი მეომრები ატარებდნენ, „გიმნასტიკორის“ სახელოები ბოლომდე აკაპინებული აქვს, რაც საბჭოთა ჯარისკაცისათვის ფორმის დარღვევად ითვლებოდა და ასეთი რამ არ ხდებოდა. ხოლო ამერიკელ და გერმანელ ჯარისკაცებში ხშირად გვხვდებოდა და გვხვდება. ჯარისკაცი ერთი ხელი ქალის სახეზე აქვს დაფარული (ცხვირზე თითებს უჭერს), ხოლო მეორე ხელით ცეცხლსასროლი იარაღი ქალის ყელზე აქვს მიბჯენილი.

მხოლოდ ყოფილი დამნაშავენი, ისიც ერთეულ შემთხვევებში, სჩადიოდნენ ასეთ დანაშაულს და მათი ოდენობა არ აღემატებოდა ჩვეულებრივ, მშვიდობიან ქალაქში დანაშაულთა რაოდენობას.

გაზეთი იმავე გვერდზე გვაუწყებს რომ, კორესპონდენტ სერგეი სემუშკინს ხელში ჩაეგდნია დოკუმენტები, საიდანაც მტკიცდება, რომ უფრო მეტ სისაძაგლეს სჩადიოდნენ პოლონელი კრიმინალები და ე. წ. „ვლასოვლები“, რომლებიც საბჭოთა ჯარისკაცისა და ოფიცრის ფორმებში ჩაცმულები ძარცვავდნენ და კლავდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რათა პოლონელ ხალხში გამოეწვია წითელი არმიის ზიზღი.

რაც შეეხება „ქანდაკებას“ ქალაქ გდანსკში, ის იდგა მხოლოდ ერთ ლამეს, დილით კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიღო.

მთლიანობაში „ქანდაკება“ აღიქმება მხოლოდ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად და ქალისადმი არანაირი ლტოლვა არ ჩანს.

წერილის ავტორს კომენტარისთვის მიუმართავს რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერის, პროფ-

სორ ელენე სენიავსკაიასთვის. პროფესორი თავის პასუხში ამტკიცებს, რომ მათ (ძირითადად ინგლისელებს და გერმანელებს) სურთ, გააქარსელონ საბჭოთა არმიის როლი მეორე მსოფლიო ომში და საბჭოთა კავშირი ამოაგდონ გამარჯვებულთა სიიდან. ამ მიზნით მუდმივად თხზავენ „გაუპატიურებული ევროპის“ მითს. რასაკვირველია, ეს პოლიტიკააო, ამბობს პროფესორი.

ის აღნიშნავს და ჩვენც ვიცით, რომ ევროპაში საბჭოთა ჯარების შესვლამდე გამოვიდა სტალინის ბრძანება, საბჭოთა ჯარებს ეკისრებოდა ევროპის გათავისუფლების მისია და ისინი უნდა იყვნენ ამ მისიის ღირსეული მატარებლები, საბჭოთა ჯარისკაცი არ უნდა დაემსგავსოს ფაშისტებს! ბრძანებას კითხულობდნენ ჯარების ნაწილებში და მკაცრად აფრთხილებდნენ ყველას მისი განუხრელად შესრულების თაობაზე.

როგორც პროფესორი სენიავსკაია ამტკიცებს, საბჭოთა ჯარში, მხოლოდ ყოფილი დამნაშავენი, ისიც ერთეულ შემთხვევებში, სჩადიოდნენ ასეთ დანაშაულს და მათი ოდენობა არ აღემატებოდა ჩვეულებრივ, მშვიდობიან ქალაქში დანაშაულთა რაოდენობას.

გაზეთი იმავე გვერდზე გვაუწყებს რომ, კორესპონდენტ სერგეი სემუშკინს ხელში ჩაეგდნია დოკუმენტები, საიდანაც მტკიცდება, რომ უფრო მეტ სისაძაგლეს სჩადიოდნენ პოლონელი კრიმინალები და ე. წ. „ვლასოვლები“, რომლებიც საბჭოთა ჯარისკაცისა და ოფიცრის ფორმებში ჩაცმულები ძარცვავდნენ და კლავდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რათა პოლონელ ხალხში გამოეწვია წითელი არმიის ზიზღი.

რაც შეეხება „ქანდაკებას“ ქალაქ გდანსკში, ის იდგა მხოლოდ ერთ ლამეს, დილით კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიღო.

ნუზუარ კოპასიძე

ალიან-ჩალიანი

საქართველო და იტალია თანამშრომლობის სფეროში ურთიერთობის განხილვის მიზნით

რომელიც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, საქართველოსა და იტალიის თავდაცვის მინისტრებს შორის პირველი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. საქართველოს თავდაცვის მინისტრს იტალიელმა კოლეგამ რობერტა პინოტიმ ბარაკინის სასახლეში უმასპინძლა.

შეხვედრაზე მინისტრებმა იტალიისა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა წვრთნისა და განათლების სფეროებზე.

საუბარი შეგზო საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს და დაგეგმილ ნატოს სამხედრო საქართველოსთვის განხორციელების სამოქმედო გეგმის (MAP) მიზნების საკითხს. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ქართული კონტინგენტის მონაწილეობა ავღანეთის საერთაშორისო ოპერაციაში (ISAF) და 2014 წლის შემდეგ „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ (Resolute Support) მისიაში საქართველოს ჩართვა. მხარეებმა 2015 წელს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) საქართველოს მონაწილეობაზეც იმსჯელეს.

იტალია აღასანიამ იტალიის თავდაცვის მინისტრს საქართველოს თავდაცვის სისტემაში

განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო.

იტალია აღასანიამ იტალიელ კოლეგას ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

აქტიუმი ოლიმპიკის, ბაიკაშვილის, ჯანელიძის და პარაკაშვილის გადარსება

თბილისში და კინოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილი კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას და მისი მოადგილის მანანა ბერიკაშვილის გადადგომას მოითხოვს.

ამ მოთხოვნით თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რამდენიმე წარმომადგენელმა გუშინ მთავრობის ადმინისტრაციასთან აქცია გამართა. ორგანიზატორების თქმით, ისინი ასევე მოითხოვენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ნანა ჯანელიძის და უნივერსიტეტის რექტორის გოგი მარგველაშვილის გადადგომას. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხელისუფლებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა მარინა მიქაუტაძემ განუცხადა, გოგი მარგველაშვილი რექტორად მესამე ვადით უკანონოდ აირჩიეს.

„კულტურის სამინისტრომ „გაუპატიურებული ევროპის“ რექტორობა გოგი მარგველაშვილს. მანანა ბერი-

კაშვილი რამდენიმე თვით ადრე არჩევნებამდე დაბრუნდა დერეფანში და ამბობდა, რომ გადამწყვეტილია მარგველაშვილი უნდა იყოს რექტორი. განათლების კანონში კი პირდაპირ წერია, რომ მესამე ვადით არ შეიძლება რექტორის არჩევა. გამოდის რომ კანონი იგნორირებულია. ვეკითხება ბერიკაშვილს, რატომ დადგა კანონზე მაღლა? - აცხადებს მარინა მიქაუტაძე.

აქციის ორგანიზატორების განცხადებით, ისინი აქციებს იქამდე გააგრძელებენ, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

ოლიმპიკი არ გადამდგარა - იმი შეპაულებათ

საბარტემილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობას ამ დროისთვის ალექსანდრე მარგიშვილი ასრულებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურის სამინისტროში განუცხადეს, მინისტრი გურამ ოდიშარია ერთთვიან შევებულებაში გავიდა, რა დროსაც მინისტრის მოვალეობას მისი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი შეასრულებს.

ამასთან, სამინისტროში არ ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ გურამ ოდიშარია თანამდებობიდან გადადგა. მათივე მტკიცებით, ოდიშარია ერთი თვის შემდეგ შევებულებიდან გამოვა და უწყებაში მინისტრის პოსტზე დაბრუნდება.

ინტერპრესი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 24 იანვრის განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს ეროვნული გმირის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის უიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი პროგრამა, რომლის მიხედვით გათვალისწინებული ღონისძიებები გვირის დაბადების დღისთვის, 7 მარტისთვის თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ხსოვნის საღამოთი დასრულდა.

აფხაზეთის ა/რ მთავრობას და აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოს მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, მთავრობის წევრებმა, რომელთაც განიხილეს და ცნობად მიიღეს აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამა, რომლის ფარგლებში მრავალი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის სწრაფ ჭადრაკში, უიული შარტავას სახელობის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 7-14 წლამდე ასაკის აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლეებმა. ფინალურ შეჯიბრს ესწრებოდნენ და გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს მსოფლიო და ევროპის თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა, საჭადრაკო ოსკარის მფლობელმა ნონა გაფრინდაშვილმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ევროპის ჩემპიონმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

გამოვლინდა ლიტერატურული კონკურსის, „ომის გარეშე“, გამარჯვებულები, რომელშიც საქართველოს საჯარო სკოლების დევნილი VIII-XII კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონკურსის პირობების თანახმად, მონაწილეებმა წარმოადგინეს ნაშრომები ნომინაციებში, - საუკეთესო ლექსი; საუკეთესო თხზულება.

სპეციალურმა კომისიამ 6 გამარჯვებული გამოავლინა (I, II, III ადგილები ორივე ნომინაციაში), პრიზები ასევე მიიღეს ოკუპირებული გალის სკოლის მოსწავლეებმა, რომელთაც, სამსუხაროდ, ობიექტური მიზეზების გამო, თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს.

ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულების გამოვლინების და დაჯილდოების ცერემონიალი სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართა, სადაც ღონისძიების ფარგლებში ნანა კიკალიას ფოტოგამოფენა „საზღვარი“ მოეწყო - უახლესი ფოტორეპორტაჟი აფხაზეთიდან.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი და აფხაზეთის მთავრობის წევრები დაესწრნენ.

პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთის საჯარო სკოლებში ღია გაკვეთილები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები ჩატარდა აფხაზეთის ისტორიაზე.

მოეწყო აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა საქართველოს სამხატვრო აკადემიაში. გამოფენაზე ალექსანდრე ხუბუას, ელდარ ქავეშაიას, ნუგზარ მგალობლიშვილის, ზურაბ ჭედიას, დათო ბაძალუას, ვალერი ჩარგაზიას, ირაკლი გოგაას და სხვა დევნილი მხატვრების 50-მდე ნამუშევარი, მათ შორის ქანდაკებები და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები იქნა წარმოდგენილი.

საქართველოს ტექნიკურ და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში უიული შარტავას 70-წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე პოლიტიკა და მეცნიერების ამოცანები“ და მრგვალი მაგიდა - „აფხაზეთის კონფლიქტი დღევანდელი გადასახედიდან“ გაიმართა.

კონფერენციას დაესწრნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, საქართველოს რეგიონალური განვითარე-



... რასაც უიული შარტავა ინატრებდა და რასაც თავი შესწირა

აფხაზეთის მთავრობა საქართველოს ეროვნული გმირის სახელის უკვდავებისთვის

ბისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე.

7 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებმა და დევნილმა საზოგადოებამ უიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გამართა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

მოგვიანებით, ვახტანგ ყოლბაიამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილთან და საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან ერთად საქართველოს ეროვნული გმირის საფლავი გვირგვინით შეამკო.

ეროვნული გმირის უიული შარტავას ხსოვნას პატივი მიაგო და საფლავი ყვავილებით შეამკო საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

ამავე დღეს, თბილისში, ბესარიონ

ულენტის (ნუცუბიძის II მ/რ.) ქუჩაზე მდებარე სკვერში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, უიული შარტავას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სკულპტურული მემორიალი - „საქართველოსთვის“ გაიხსნა. სკულპტურის შექმნის შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელი ზურაბ კოკაიაა, რომლის ძმა, უიული შარტავას მრჩეველი - მიშა კოკაია, აფხაზეთში უგზოუკვლოდ დაიკარგა. ზურაბ კოკაიასთან ერთად ცნობილი მოქანდაკეები დავით მინდორაშვილი და ედუარდ შახნაზაროვი, მხატვარ-დიზაინერი სერგეი სლივანი, ბრინჯაოს ჩამომსხმელები ოლეგ და პაატა გელაშვილები, არქიტექტორი ანდრო ღვამიჩავა და მშენებელი ზაალ ლომინაძე 23 დღის განმავლობაში მუშაობდნენ.

სკულპტურული მემორიალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ გახსნეს.

მემორიალის გახსნის საზეიმო ცერემონიალს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი

ნი უძღვებოდა. საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ, პოეტებმა ჯანსუღ ჩარკვიანამ და გენო კალანდიამ, აფხაზეთისა და საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ სვეტლანა ქეცბამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრმა აკაკი გასვიანამ.

ქანდაკების გახსნის შემდეგ უიული შარტავას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უიული შარტავას სახელობის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლის პრეზენტაცია გაიმართა.

სალამოს უიული შარტავას მეგობარი, ქართველი კომპოზიტორი ჯემალ სეფი-აშვილი უძღვებოდა. საღამოზე ქართული სიმღერებით წარდგინდა მომღერლები: ირმა სოსხაძე, თემურ წიკლაური, აჩიკო ნიყარაძე, ნოდარო ტატიშვილი. მეგობრებმა და ახლობლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ეროვნული გმირის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სალამოს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ ფრანგიშვილი დაესწრნენ.

ღონისძიებათა კულმინაციაში დღის ბოლოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გადაინაცვლა, სადაც უიული შარტავას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი დასკვნითი საიუბილეო საღამო გაიმართა.

როგორც მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა, უიული შარტავასადმი მიძღვნილი ღონისძიებები წლის მანძილზე კვლავ გაგრძელდება. მისი თქმით, ის დარწმუნებულია, რომ შარტავას ოცნება აუცილებლად ასრულდება და ჩატყნული ქართულ-აფხაზური ხიდი მალე აღდგება. „ჩვენ მზად ვართ, აღვადგინოთ ჩატყნული ხიდი აფხაზეთსა და ქართველებს შორის. მერე რა, რომ აფხაზეთში ამას ჯერ კიდევ ისე არ ღებულობენ, როგორც ჩვენ გვინდა, მერე რა, რომ ჩვენ გზირ შემთხვევაში განვდილი ხელი ჰაერში გვრჩება, მერე რა, რომ არ ვართ კმაყოფილი იმით, რაც დღეს გვაქვს, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დღეს თუ ხვალ საქმე ისე გაკეთდება, როგორც ამას ბატონი უიული ინატრებდა და რასაც თავიც შესწირა“.

რუსთაველის თეატრიდან დამსწრე საზოგადოებას და სრულიად საქართველოს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა დავით უსუფაშვილმა: - „უიული შარტავამ გვაჩვენა იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ჭეშმარიტი მამულიშვილის ნებისმიერ ეპოქაში, ემსახურებოდეს თავის სამშობლოს და აგრძელებდეს იმას, რაც წინაპრებმა მოგვითმეს დღემდე და აშენებდეს იმას, რასაც მომავალი თაობები გააგრძელებდნენ მომავალ საუკუნეებში. ეს არის ძალიან იშვიათი ადამიანების ხედვები და ბატონმა უიულიმ სწორედ ეს მოახერხა. ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ასეთი გმირი, არ უწყნარია გადაგვარება და დამარცხება, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე მის საქმეს ერთიან, ძლიერ, თავისუფალ საქართველოში“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში 10 მარტს ქალაქ რუსთაველაში გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრში უიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ შემოქმედებითი კოლექტივები, რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის მსახიობები, სახელგანთქმული ანსამბლი „რუსთავი“, რომელსაც ხელმძღვანელობენ ანზორ ერქომაიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე.



ხალხურთი

„ბათუმი“ დაწინაურდა

საბრტეხელს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს რვა გუნდი მონაწილეობს. პირველი წრის შემდეგ ისინი ორ ჯგუფში (აღმოსავლეთი, დასავლეთი) გადანაწილდნენ და ისე განაახლეს შეჯიბრება. სენაკის სპორტის სასახლეში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „ქუთაისი“, „ბათუმი“, „სამტრედია“

ქულით გაუსწრეს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ სტუ-ს, თუმცა სტუ-დენტებს სამი მატჩი მარაგში აქვთ. ქუთაისი - ბათუმი 29:41 ქუთაისი: გულიევილი, შეყრილაძე, ჩხილაძე (6), ჯუღელი (4), მათნაძე (4), ახალაძე (4), ძნელაძე (4), უ. კობახიძე (3), მერკვილაძე (2), ახალბედაშვილი (1), ლომიძე (1), ტა-



ბათუმი	14	12	0	2	570-427	24
სტუ	11	11	0	0	383-254	22
სამტრედია	14	8	0	6	517-471	16
იზიანი	11	6	0	5	335-364	12
პედასი	11	4	2	5	357-380	10
ჭავჭავაძე	14	2	2	10	392-480	6
თელავი	11	2	1	8	289-329	5
ქუთაისი	14	2	1	11	395-533	5

და 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ნაკრები. საინტერესოდ წარმართა ბოლო ტურის შეხვედრები. ჩემპიონობისთვის მებრძოლმა ზღვისპირელებმა რიონსპირელებს აჯობეს და გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლეს - 2

რუაშვილი, ბახტურიძე, ტულუშვილი. ბათუმი: სამყურაშვილი, ი. ნარსია (8), ჯორბენაძე (8), ხუნჯუა (6), ნივნივაძე (6), გამზარდია (4), ჭელიძე (3), ქარდავა (2), ნიტიანი (2), ჭანტურია (1), ვინოგრადსკი (1), უ. მაისურაძე, ქავთარაძე, გოგიჩაიშვილი.

მესამე ადგილზე იმყოფება „სამტრედია“, რომელმაც ბოლო ტურში ჭაბუკთა ნაკრებს მოუგო - 39:26 და უახლოეს მდევარ „იმედთან“ 4 ქულა კი აშორებს, მაგრამ მეტოქეს 3 მატჩით ნაკლები აქვს გამართული.

ჭაბუკთა ნაკრები - სამტრედია 26:39

ნაკრები: ხანდოლიშვილი, ხარაიშვილი, დოღმაშვილი (9), ბულბულაშვილი (6), მამულაშვილი (3), კვიციანი (2), ბაინაშვილი (2), ნ. მაისურაძე (1), იობაშვილი (1), ნახლაძე (1), ზაალიშვილი (1), გოგავა, განერელია, ე. არსენაშვილი.

სამტრედია: ჯანელიძე, გოგუა, ნითელიშვილი (11), ხვიჩია (7), გ. ნიკურაძე (6), თევზაძე (5), ავალიანი (4), საყუმია (2), უვანია (1), გაგლოშვილი (1), ლალანიძე (1), ზურაბიანი (1), ელგანდაშვილი, ცხვარაძე, ბოცვაძე.

თ	8	ფ	წ	ბ	ძ
17-21 მარტს აღმოსავლეთის ოთხეული (სტუ, „იმედი“, „პედასი“, „თელავი“) თბილისში გაარკვევს ერთმანეთთან ურთიერთობას. ამით ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეც დამთავრდება. საუკეთესო სამეფულს მესამე წრე გამოავლენს.					

17-21 მარტს აღმოსავლეთის ოთხეული (სტუ, „იმედი“, „პედასი“, „თელავი“) თბილისში გაარკვევს ერთმანეთთან ურთიერთობას. ამით ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეც დამთავრდება. საუკეთესო სამეფულს მესამე წრე გამოავლენს.

ლევან ცინცაძე

ფეხბურთი



ლიგას კრიზისის არ სჯერა

ბსმო, ისეო, „ბარსელონა“ კრიზისშიაო - არაერთხელ მოვისმინეთ ამ ბოლო დროს.

ნაწილობრივ, შეიძლება, ასეც არის, მაგრამ თურმე არც მთლად მასე ყოფილა საქმე.

„ბარსელონა“ - „სიტი“ 2:1 (პირველი მატჩი 2:0)

ისე, ოპტიმალურ კონდიციებში ვერც „სიტი“ შეხვდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს, რასაც კატალონიელებთან პირველი ბრძოლის დათმობის შემდეგ ქვედადივიზიონელ „უიგანთან“ საკუთარ მიწაზე ინგლისის თასზე დამარცხებაც მოწმობს. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ამჯერად სტუმრებს დისკვალიფიცირებული მთავარი მწვრთნელი მანუელ პელებრინი აკლდათ, რომელიც შეგირდთა თამაშს „ნოუ კამპის“ ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. მატჩმა დაადასტურა, რომ ჩვეულ იშტაზე ჯერჯერობით ვერც მანჩესტერელთა ახალგაზრდა მწვრთნელი ბომბარდირი სერხიო აგუერო ბურთაობს, რომელიც შესვენებაზე შესაცვლელი გახდა.



ალბათ, აღნიშნულ წვრილმანთა ერთობლიობამაც განაპირობა ორ რაუნდის დუელის ლოგიკური შედეგი.

„პარი სენ-ჟერმენი“ - „ლევერკუზენი“ 2:1 (პირველი მატჩი 4:0)

ფორმლობად ქვეულ საპასუხო შეხვედრაში ბუნდესლიგელებს თავისუფლად შეეძლოთ მინიმუმ პრესტიჟის ქულის მოპოვება, მაგრამ მათ კაპიტან როლფესს ნერვებმა უმტყუნა პენალტის შესრულება - სას, როცა ანგარიში 1:1 იყო - ბურთი მასპინძელთა მეკარე სირიგუმ მოიგერია.

მართალია, ამით საერთო სურათი არ შეიცვლებოდა, მაგრამ, ხომ იცით, სპორტში კარის ხმაურიანად გაჯახუნებაც ფასობს.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

იანო მინი პოლიტიკაში ფაჰიდა

ცნობილი ჩინელი კალათბურთელი, ნბა-ს ყოფილი მოთამაშე, ცენტრალური თავდასხმელი იანო მინი პოლიტიკაში წავიდა. ის თავისი ქვეყნის სამთავრობო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა და ცხო-

ველთა დაცვაზე მუშაობს. იანო მინა მოუწოდა საზოგადოებას, რომ ბუნების დაცვაზე იზრუნონ. მან სთხოვა მთავრობას მიიღოს შესაბამისი კანონები, რომლებიც სპილოს ძვლით, მარტორქის რქებითა და მათი ნაკეთობებით ვაჭრობას აკრძალავს. ბუნების დაცვის გარდა, იანო მინი განათლებისა და სპორტის სფეროშიც არის დაკავებული.

როსტომ რაჭველიშვილი



ფარიკაობა

ხელით და დახვით გააფული გზები

თბილისის ფარიკაობის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა 1994 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მოფარიკავეთა საქართველოს პირველობა. მედლებისთვის დედაქალაქის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის 80 წარმომადგენელი იბრძოდა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: ხმალი

გოგონები. 1. ქრისტინე ნოზაძე, 2. ელენე ნანობაშვილი (ორივე-თბილისი), 3. მარიამ ფხაკაძე, ანა სინატაშვილი (ორივე-ქუთაისი). ვაჟები. მიხეილ მარდალეიშვილი, 2. დავით უკლება, 3. გივი მერკვილაძე, ვაჟა რევია (ყველა-ქუთაისი).

რაპირა გოგონები. 1. თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი, 3. ლიკა ჯიჯუიშვილი (სამივე-თბილისი), მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი). ვაჟები. 1. ლუკა ლალანიძე, 2. ლაშა გალუაშვილი, 3. გიორგი გელაშვილი (სამივე-თბილისი), გიორგი ჭუმბურიძე (ქუთაისი).

დახვნა გოგონები. 1. მარია ზაკირჩენო, 2. ანა ნორდვა (ორივე-ქუთაისი), 3. თათია ხატიაშვილი, ნუცა იაგორაშვილი (ორივე-თბილისი). ვაჟები. 1. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. ანრი სიმსივე (ქუთაისი), 3. გიორგი ხანდაველი, გიორგი თანდაშვილი (ორივე-თბილისი).

18-წლამდელებში ვეროპის ჩემპიონი სანდრო ბაზაძე უნგრეთის დედაქალაქში მოსამალავთა გრან პრის გათამაშებაში მონაწილეობდა. ჯგუფში მან ყვე-

ლა შეხვედრა მოიგო. პლეი ოფის სტარტზე ქართველმა მოფარიკავემ რუმინეთის ნაკრების მეორე ნომერ ჩიპრიან გალატანუს აჯობა 15:7, მე-2 წრეში კი ლონდონის ოლიმპიადის კორეელ ჩემპიონ ჯუან ხან კიმთან დათმო პაექრობა 12:15 და 128 მონაწილეს შორის 22-ე ადგილი დაიკავა. ამ შედეგით მან 6 სარეიტინგო ქულა შეიმატა და ახლა მსოფლიო კლასიფიკაციაში 48 ქულით 29-30-ე ადგილებს იყოფს.

ლაშა დიდი



ვითარება

„შუმი“ აპარატის დაუხმარებლად სუნთქავს!

მბრტეხილ, ეს ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ მას ისეთი ავტორიტეტული გამოცემა ავრცელებს, როგორც „გაქტა დელო სპორტია“. F1-ის ლეგენდის მენეჯერი საბინე კემი კვლავაც იმეორებს, რომ არაოფიციალურ ინფორმაციას არ დავუჯეროთ, თუმცა ამ ორი თვის განმავლობაში, რაც შუმასერი მართვად კო-



მაში იმყოფება, ბევრი მსგავსი ინფორმაცია მოგვიანებით დადასტურდა. და ჩვენც ამჯერადაც უკეთეს ცნობას დავუჯეროთ - ამით არაფერი დაშვდება! კემის თქმით, „შუმი“ კვლავაც კომიდან გამოყვანის ფაზაშია და მისი მდგომარეობა ბევრ არაფრით შეც-

ვლიდა. მაგრამ „გაქტას“ პოპულარულმა რეპორტიორმა პინო ალივენი უენეცის მოტოროშოზე განაცხადა, რომ კემმა პირადად უთხრა, მიხალის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

„მიხალის საფრთხე აღარ ემუქრება, თუმცა მისი მდგომარეობა კვლავ სერიოზულია და ამიტომ ძნელი სათქმელია, რომ რისკები გავლილია. და მაინც, მისი მდგომარეობა ალარაა ისეთი მძიმე, როგორც თავიდან იყო“, - უთქვამს კემს. ალივენი ამბობს, რომ „შუმის“ ბავშვები უკვე შეიცარიაში დაბრუნებულან, რათა სწავლა გააგრძელონ. სამაგიეროდ, ლეგენდარული მრბოლის ახლო მეგობრები, როგორებიც არიან ფია-ს პრეზიდენტი ჟან ტოლტი და როს ბრაუნი, მას ხშირად აკითხავენ და ინგლისურად ესაუბრებიან, როგორც ეს „ფერარიში“ მისი ასპარეზობისას იყო.

უფრო მეტიც, ამ ვიზიტებისას პალატაში რთავენ იმ რადიოსაუბრების ჩანაწერებს, რომლებიც როლენისას შუმაგზის მის თანაგუნდელებთან ჰქონდა. გარდა ამისა, მსოფლიოს შუმაგზის ჩემპიონს ფი-ის ძრავის ხმასაც ასმენინებენ, რაც მისი მესხიერების სტიმულირების მიზნით კეთდება. ალივენი ამბობს, რომ ამ დროს შუმასერს სახეზე ხანდახან ემოციები ეტყობა. უფრო მეტიც, პალატაში ექიმების ვიზიტებისას „შუმიმ“ რამდენჯერმე სახის ნაკვთები და ხელებიც აამოძრავა.

ვითალი ჯაფარიძე

სულთანა

ავთანდილ თვალჭრელიძე

სანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, აღიარებული სპეციალისტი თეორიული და გამოყენებითი მექანიკის დარგში, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ თვალჭრელიძე. მისი ღრმა

მოღვაწეობა ფოთში უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტის ფილიალში.

პროფესორი ა. თვალჭრელიძე თავის მდიდარ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას უშურველად უნაწილებდა მომავალ სპეციალისტებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, 3 ასეულზე მეტი სადიპლომო და სამაგისტრო შრომა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი 125 სამეცნიერო შრომის, 10-მდე პატენტისა და მექანიკის განვითარების კონცეფციის, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია, აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკაში დაწესებული გამოგონებები, ოჯახის არქივში დაცული რამდენიმე დასაბეჭდად გამზადებული მონოგრაფიის ხელნაწერი.



და მრავალმხრივი მოღვაწეობიდან პირველ რიგში უნდა გამოიკვეთოს პროფესორ ნოდარ ვალიშვითან ერთად მისი განსაკუთრებული დამსახურება გამოყენებითი მექანიკის რიგი დარგების განვითარების, დასავლეთ საქართველოს მაღალი დონის თანამედროვე სამეცნიერო ცენტრად გადაქცევის და წარმოჩენის მიმართულებით. ეს გარემოება მნიშვნელოვნად განაპირობა ერთი მხრივ, ნ. თვალჭრელიშვილის, ი. ვეკუას, ვ. კუპრაძის, ხოლო, მეორე მხრივ, კ. ზაგრაძის, ო. ონიაშვილისა და გ. ქარცივაძის სკოლათა მემკვიდრეობამ, და, ასევე, შესაბამისი მიმართულების მონაწილე სამეცნიერო, პირველ რიგში რუსეთისა და პოლონეთის, ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთობამ.

პროფესორი ა. თვალჭრელიძე დაიბადა ქ. ლუცკში (დღევანდელი და მამით ქართველი) სამხედრო მოსამსახურის ოჯახში 1947 წ. 11 მარტს. მამის სამსახურმა განაპირობა სკოლის პერიოდში მისი უკრაინისა და გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრება. 1965-1971 წ. წავლობდა მოსკოვის ბაუმანის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, იყო ამავე ფაკულტეტის ასპირანტი და პარალელურად -1971-1975 წ. წ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. 1975 და 1994 წ. წ. წარმატებით დაიცვა დისერტაციები შენაბამისად ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატისა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხების მოსაპოვებლად. 1974 წლიდან მუშაობდა ჯერ ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკურ (2006 წლამდე), შემდეგ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტებში მასალათა გამძლეობის კათედრის ასისტენტად, თეორიული მექანიკისა და პიდრავლიკის, კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობების კათედრათა გამგედ, მექანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელად, საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანად, მექანიკისა და საინჟინრო გრაფიკისა და მექანიკა-მანქანათმშენებლობის დეპარტამენტების სრულ პროფესორად, პარალელურად

თვის შემოქმედი. სამაგალითოა მისი დამოკიდებულება და ღვაწლის წარმოჩენა დიდი ქართველი მეცნიერებისა, მათ შორის, ილია ვეკუას, ივანე ნიკურაძის და სხვათა მიმართ.

40-წლიანი თავდაუზოგავი და უნაგარო მოღვაწეობის გზაზე, ბ-ნი ავთანდილი თავისი პროფესიონალიზმით, სისპეტაკით, მოკრძალებით, სიკეთის თესვით მაგალითს აძლევდა კოლეგებსა და მოწაფეებს და სახამარტო ქუთაისის ინტელექტუალს. ხელს უწყობდა გამოყენებითი მექანიკის განვითარებას, ახლის შექმნასა და დანერგვას, ამბობდა მოუწოდებელ მართალ სიტყვას, იღებდა სწორ ინჟინრულ, სამეცნიერო თუ პედაგოგიურ გადაწყვეტილებებს.

კოლეგები, ახლობლები, მეგობრები და უამრავი მოწაფე დიდ მწუხარებას გამოთქვამს ნათელი პიროვნების გარდაცვალებას გამო. გამორჩეული მეცნიერი, მომადლებული ნიჭით დაჯილდოებული ინჟინერი, შესანიშნავი მასწავლებელი, მაღალი ზნეობის მატარებელი, არაჩვეულებრივი პიროვნება - ასეთად იცნობდნენ ავთანდილ თვალჭრელიძეს და ასეთადვე დარჩება იგი იმ ადამიანთა ხსოვნაში, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა.

მ. ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჯიქაძის სახელობის ზოომათემატიკის კათედრის უფროსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

განსენება

მონატრებულო, ძვირფასო დედა!

ჩემო დიდი ტკივილო, ჩემო დიდი სევდავ, ოი, როგორ მენატრება შენს უთბილეს უბეში ჩახუტება. სითბო, რომელსაც შენ მაძლევდი, შეუდარებელია. თურმე ყველა ასაკში ძნელი ყოფილა დედასთან განშორება. 15 მარტს 4 წელი სრულდება, რაც ერთად არა ვართ. 62 წლის ერთად ცხოვრების მერე მიმძიმს უშენოდ ყოფნა. არსებობს წუთი, შენ რომ არ მახსოვდე? ან კი დედის დავინწყება როგორ შეიძლება! შეილებთან თავს ვიკავებ, თუმცა ყველანაირად ცდილობენ, შვილობასთან ერთად დედობაც გამინიონ (მადლობა უფალს), მაგრამ სახლში როცა მარტო ვრჩები, შენს სურათს ხანდახან ვხედავ, ხან წამოვხედავ. ოი, რამდენი დამიგროვდა შენთან სათქმელი.



დიდება და მადლობა უფალს, რომ არსებობს. უფლის გარეშე, სულის უკვდავების გარეშე, რომ სიცოცხლეს ფასი არ ექნებოდა. მე მჯერა, რომ შენ გეხმარები ჩემი სიტყვები. ამ სანუთროში ჩემთვის ყველაზე საყვარელო (მადლობა უფალს, რომ მზრუნველი, მოსიყვარულე შვილები მყვანან, ღმერთს ვთხოვ მაგათ დღეგრძელ, ბედნიერ სიცოცხლეს და გამრავლებას), ყველაზე ძვირფასო ადამიანო, უსაყვარელსო დედიკო, გთხოვ, შენი გარდაცვალებით გამოწვეულ ამ ჩემს წუხილზე არ იდარდო. ღმერთი მოწყალეა, მნამს, რომ, როგორც ყოველთვის, კვლავაც შემეწევა. მეც ვეცდები, არ შეგანუხო, დედა, დედის ძახილითა და ცრემლებით. ახლა კი მშვიდობით ჩემი უთბილესო, უტკბილესო, საყვარელო დედიკო. მინდა, მოგვეფერო ამ ლექსით:

შენს ხელში მე არ მიგრძნია უამბობა და ობლობა, მადლობა რომ გამიწევი სამაგალითო მშობლობა. მიყვარხარ, მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ და მენატრები. უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული, ამინ!

ნანული (ნანა) გვინა
შენს ნახვას მონატრებული, შენზე უსამდვროდ შეყვარებული შენი დედისერთა

შვილი ნანული (ნანა) გვინა, შვილიშვილები ედუარდი და გიორგი, რძლები თამარა, ნანა, ნინო, ძმისშვილები გელა, დავითი, ნატო, ია, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები იუნყებთან, რომ 2014 წლის 15 მარტს, 13 საათზე გაიშარება

მერი (მარიამ) მიხაილის ასულ ჭანტუაშვილი
სამოქალაქო პანაშვიდი აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარის (განათლებლისკარი) სასაფლაოზე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ინფორმაცია

გადასახლება

„არსენალი“ აღმოაჩინა

„არსენალი“ აღმოაჩინა
როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს-დან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიზის-მართვის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციის სამსახურს სამხრეთ-დასავლეთის თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1984 დაბადებული ილია მ. საბრძოლო მასალის მარტო-მარტო აღმოაჩინა შექმნა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ბაღდათის რაიონის სოფელ პირველ ოზანში, დაკავებული საცხოვრებელი სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ციფრულ-სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ციფრულ-სახლის იარაღის 134 ცალი საბრძოლო ვაზა და „გრ-გე-დ“ „ის ტიპის 1 ცალი ხელფეხბარა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

შს-მ პერიონი ამოიღო

შს-ს თანამშრომლებმა 1978 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა მიმე დანაშაულისთვის ნასამართლელი ზაზა კ. ნარკო-დანაშაულისთვის სენაკში, მშვიდობის ქუჩაზე დააკავეს. შს-ს ინფორმაციით, სამართალ-დამცველებმა დაკავებულის პირადი ჩრდილო-აღმოსავლეთი ციფრულ-სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ციფრულ-სახლის ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,181953 გრ პეროინს შეიცავს. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ზაზა კ. დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების დეპოზიტის ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ზაზა ბილინიძე ინტერპრესი

დედაქალაქი

2011 წელს, ჯერ კიდევ აღზევების გზაზე მდგარი ნაცების ერთ-ერთი ლიდერი და დედაქალაქის მამონ-დედი მერი გიგი უგულავა ოპანიანად აცხადებდა, რომ მერიის მიერ გამოცხადებული პროექტი - „ათასი ჯიხურის“ მცირე და საშუალო ბიზნესს შეუწყობდა ხელს. უგულავა ამტკიცებდა, რომ იდეა, რომელსაც მისი მთავრობა სთავაზობდა საზოგადოებას, იყო მართალი და წინა წლებსაგან განსხვავდებოდა მონესრიგებულობით, ვიზუალური სისტემაზე უფროსი. ის თბილისის მინიმუმ 2 ათას მცხოვრებელს დასაქმებისა და კერძო ბიზნესის წამოწყების საშუალებას მისცემდა. დედაქალაქის მთავრობა ვარაუდობდა, რომ წლის (2011 წ.) ბოლოსთვის ნებართვას გასცემდა თბილისის სხვადასხვა უბნებში იჯარით ათასი ჯიხურის ჩადგმაზე. პროექტი, გარდა მსხვილი კომპანიებისა, პროგრამით დაინტერესებულ ფიზიკურ პირებზეც იყო გათვალისწინებული.

როგორც ეკონომიტი გიორგი ლაშინი ამტკიცებს, პროექტს თავდაპირველად მართლაც მოჰყვა დიდი გამოხმაურება. იჯარით გაიცემოდა ჯიხურები როგორც ქალაქის ცენტრალურ (ძირითადად კომპანების) უბნებში, ასევე გარეუბნებში (ფიზიკურ პირებზე). მაგრამ ეკონომისტის ამბობს, რომ ნოვაციისადმი ინტერესი მალე გაქრა. დღეისათვის, როდესაც 3 წელზე ოდნავ მეტია გასული, ჯიხურის იჯარით ამღებთ რიცხვი 300-ს არ აღემატება. აქედან ლოტი უკან დაბრუნდა 90-მდე მეიჯარე.

მერიის პროექტი ჩავარდა

სპეციალისტი ჩვენთან საუბარში ლაპარაკობს, რომ თბილისის ცენტრალურ უბნებში ჯიხურების იჯარაზე კონკურსის გამოცხადება კი გახდა საჭირო, რომლებშიც გამარჯვებს ცნობილი და ძლიერი კომპანიებმა „კოდამ“, „ნუგეშმა“, „მუქთამ“, „კოდა XXI-ემ“; ცხადია, ბიზნესის ახალი სახეობა ყველასათვის ერთნაირად წარმატებული ვერ იქნებოდა. „კოდას“ და „ნუგეშს“ გაუმართლათ. მათმა მენეჯერებმა გაგა ხაზული

გენტომ, როდესაც შეამჩნია, რომ პროექტში შეფერხებები გაჩნდა, ვირეშმაკულ ნაბიჯს მიმართა. დედაქალაქის ქუჩებიდან აიღეს პრესის გავრცელების ათეულობით ჯიხური, რასაც უმაღლესი მოწყვე მედიის პროტესტი. მისი წარმომადგენლები ითხოვდნენ, რომ ჯიხურები არ განეხილათ, როგორც სავაჭრო ობიექტები, რადგანაც პრესის გავრცელება უნდა იყოს სააჯარო სერვისი და არა ბიზნესი.

მეგრამ მერიის მაღალჩინოსნებს იმ მომენტშიც და შემდგომაც ამოძრავებდათ პრესტიჟის დაცვისა და მეტი შემოსავლის მიღების სურვილი, გვეუბნება ეკონომისტი გიორგი ლაშინი და ამის დამადასტურებლად მედიის წარმომადგენელთა პროტესტზე დედაქალაქის მთავრობის განცხადება მოჰყავს, სადაც ნათქვამია, რომ მერიის გამოცხადებულ აუქციონში ყველა აქვს მონაწილეობის უფლება და მოგების შემთხვევაში შეუძლიათ თავიანთ ჯიხურებში გაყიდონ მათთვის სასურველი საქონელი. ამაზე იტყვიან, რკინისგური ლოგიკააო. მერიის ქონების მართვის სამსახური კი ჯიუტად აცხადებს, რომ პროექტი გაგრძელდება მანამ, ვიდრე „ათასი ჯიხურის“ პროგრამა ბოლომდე არ განხორ-

ჩვენი კარაბადინი

მხოლოდ ერთად არა!

ა ლ კ ო ჯ ო ლ ო ს მონარებამ ტკივილ-გამაყურებელ საშუალებებთან ერთად შეიძლება თირკმლების დისფუნქციასთან მიგვიყვანოს, ამ ტკივლებზე ამერიკელი მეცნიერები ტენესის შტატიდან.



მათ ანალიზი გაუკეთეს მონაცემებს 2003-2004 წლებში მოსახლეობის ეროვნული ჯანმრთელობისა და კვების გამოკვლევის, რომელშიც 10000-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხულთა 2,6 პროცენტმა აღნიშნა, რომ ლებულობდა ტკივილგამაყურებელ საშუალებებს აღკვეთის მიზნით ან ზომიერ დოზებთან შეხამებაში. მათგან 1,2 პროცენტს ანუ უხეშად თირკმლების დისფუნქცია.

ტკივილგამაყურებელი საშუალებებისა და ალკოჰოლის მცირე ოდენობის გამოყენება ცალკეულად არ განიხილება, როგორც თირკმლების დაავადებათა განვითარების რისკის ფაქტორი, თუმცა, მათ შეხამებას რისკის 123 პროცენტამდე მივყავართ.

სად იმალება სინდისი?

ტვიინის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე და გამოდის, როგორც სინდისი, აღმოაჩინეს ბრიტანელმა მეცნიერებმა.

მათ განახორციელეს ადამიანებისა და მაიმუნების ტვიინის ფრონტალური ქერქის შედარებითი ანალიზი. ადამიანებში აღმოაჩინეს სექცია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „შუბლის გვერდითი პოლუსი“. ეს სექცია ნერვული ქსოვილის სფეროსებრ შენადდეს მოგვაგონებს. ადამიანის თავის ტვიინის სწორედ ეს უბანი არის პასუხისმგებელი სხვათა შეცდომების დაკვირვებებზე და გვეხმარება ავითვისოთ ახლად შექმნილი ჩვეულებები. ამას გარდა, იგი განასხვავებს ცუდს კარგისგან და გვეხმარება შევავასოთ საქციელი.

თავის დანებება არასოდესაა გვიან

თუ 65 წელზე მეტი ასაკის მწვევლები თავს დაანებებენ მოწვევას, მათ შეუძლიათ შეამჩირონ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან გარდაცვალების რისკი იმ ადამიანთა დონემდე, ვისაც არასოდეს მოუწევია, დაახლოებით 8 წლამდე, აჩვენა ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევამ.

წინა მუშაობამ აჩვენა, რომ ანალოგიური შედეგების მიღწევისთვის მწვევლებს შეიძლება დასჭირდეთ 15 და მეტი წელიც სიგარეტისგან თავშეკავებისთვის, მაგრამ ბევრმა ადამიანმა, ვინც მონაწილეობა მიიღო ახალ გამოკვლევაში, შეძლო შემცირებინა დაავადებათა რისკი იმათ დონემდე, ვინც არასოდეს ეწეოდა ადრე.



„მოწვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში ადრეული გარდაცვალების თავიდან აცილების ყველაზე იოლი ხერხია. თუ ეწევი — დაანებეთ თავი, და დაანებეთ რაც შეიძლება მალე!“ — ამტკიცებენ მეცნიერები.

და კიდევ ერთი რამ მოწვევასთან დაკავშირებით: იმ მამაკაცებს, ვინც დღეში ერთ კოლოფზე მეტ სიგარეტს ეწევა, მკვეთრად ეზრდებათ გამელოტების რისკი, მიაჩნიათ ტაივანელ მეცნიერებს. მათ მოაწვევს მომნიჭებული ასაკის 700-ზე მეტი მამაკაცის გამოკვლევა და აღმოაჩინეს, რომ მო-

წვეა იწვევს თმის ფოლიკულების წგრევას. თმის ძირთან მოდიან სისხლძარღვები, ნერვული დაბოლოებანი და ქონის ჯირკვლები, თამბაქოს კვამლის ნიკოტინი კი იწვევს სისხლძარღვთა მკვეთრ სპაზმებს, არღვევს სისხლის მიკროციკულირებას, რასაც თმების კვების გაუარესებასთან მივყავართ. ეს თმის ცვენის მიზეზი ხდება.

საინტერესოა, რომ ტაივანის მცხოვრებლები გენეტიკურად უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან გამელოტებას, ვიდრე სხვა ხალხთა მამაკაცები. და სწორედ იქ მოწვევა მიიჩნევა მთავარ ფაქტორად, რომელიც იწვევს თმის ცვენის პროვოცირებას.

სიხალგაზრდავის რასიონი

ეს კვრები ყოველდღე უნდა იყოს მაგიდაზე. ასე შევანელებთ სიბერის დადგომას.

საზუსტად შვრიის ფაფა, ან ყველაზე სასარგებლო ვარიანტი — მდულარით ან ცხელი რძით დაორთქლები შვრიის ქატი. შვრიაში ბევრია A, PP ვიტამინები, ნიკოტინის მჟავა, კალციუმი და რკინა.

სადილი მოხარშული ხორცი, ქათამი, თევზი. პლუს ზეთუნის ზეთით შეხავებული სალათი. ცილები მოღუნებულ კანს ხდის უფრო მაგარს. მათი დევიციტის დროს კანი ხდება მოშვეებული. მისთვის სისალისა და ელასტიკურობის მისანიჭებლად საჭი-



როა დღეში მივიღოთ 100-150 გრამი ხორცი. კვირაში სულ ცოტა სამჯერ მოიწყვეთ თევზის დღე, მიერთვით ზღვის პროდუქტები. ძვირფასი ცილების გარდა, ისინი შეიცავენ მიკროელემენტებსა და შეუცვლელ ცხიმის მჟავებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კანის უნარზე, იყოს თვითტენიანი. ეს უკანასკნელები უხვადაა ზეთუნის ზეთში. დღის დოზა — არაუმეტეს 2 კოვზისა.

სამხარბო გრეიპფრუტი. ეს ციტრუსი ბევრ ძლიერ ანტიოქსიდანტს — ვიტამინს შეიცავს. მისი უმცირესობის დროს კანის სისხლით მომარაგება ირღვევა — ხილის ნახევარი ან ერთი ჭიქა მისგან ახლადგამოწურული წვენი კანის საუკეთესო საჩუქარია. სხვათა შორის, გრეიპფრუტს ინდოჩინეთის ქვეყნებში დღეულობენ მარილთან და წინაკასთან ერთად. გასინჯეთ, იქნებ ასეთი ვარიანტი მოგეწონოთ.

მანუაში სტაფილოს სალათი, შეხავებული არაყნით ან მცენარეული ზეთით, და ერთი ჭიქა კეფირი. სტაფილო აქერცლილი კანისთვის, რომელსაც ანუხებს შენითლება და ალერგიული გამონაყურები — პირდაპირ პანაცეაა. ბოსტნეულში ბევრია A ვიტამინი და უჯრედისებრი, რომლებიც აწესრიგებენ კანის ტექსტურასა და ფერს. რაც შეეხება კეფირს, მანონს, იოგურტს — რძის მჟავების ბაქტერიების სარგებლიანობის შესახებ დღეს ყველამ იცის. აი დამატებითი ცნობებიც: ლაქტობაქტერიები პასუხისმგებელი არიან ვიტამინების სრულფასოვან ათვისებასა და D კოვზიმის წარმოქმნაზე, რომელსაც ხშირად უმატებენ ასაკის საწინააღმდეგო კოსმეტიკაში.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმი ვახსენებთ



„არაულოზის მოწყობისთვის გივი თარგამაქამ უდალცოვს 30 ათასი დოლარი გადასცა“

რუსეთის „მარცხენა ფრონტის“ ექსლიდერის კონსტანტინე ლეზევის განცხადებით, მოსკოვში, ბალოტნიას მოედანზე არეულობების სანაცვლოდ, სერგეი უდალცოვს, ლეონიდ ლაზოვოვს და თავად ლეზევის ქართველმა დეპუტატმა გივი თარგამაქამ 30 ათასი დოლარი გადასცა.

ეს განაცხადა ლეზევის მოსკოვის საქალაქო სასამართლოში დაკითხვისას.

„ალია“

„პუტინმა მთავარი იმპერიული ინტერესი წააგო“

— მიიჩნევა სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, — ის, რომ უკრაინამ ზურგი აქცია რუსეთს და ყალიბდება რეალურ დამოუკიდებელ ევროპულ სახელმწიფოდ, ეს უკვე შემდგარი ფაქტია. ამას ვერაფერ შეცვლის, ეს, რა თქმა უნდა, შეუთავსებელია პუტინის ე. წ. იმიჯთან, პუტინის სახესთან, როგორც მაგარი დიქტატორისა. ის რჩება, როგორც გალახული დიქტატორი, ანუ მთავარი იმპერიული ინტერესი უკვე წააგო. პუტინმა თავისი ე. წ. ვანკას თვალში საქართველოს ომი მოუგო, მაგრამ კიევს მან ომი ვერ მოუგო. კიევმა პუტინს ომი მოუგო ყველას თვალში, ვანკას ჩათვლით.

„ახალი თარგა“

წლის ბოლომდე 100 პიქტარი ახალი ტყე გაშენდება

2014 წლის ბოლომდე ტყე 100 პიქტარზე გაშენდება. ტყეების ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი გეგმა უკვე გაიწერა. განაშენიანების პროცესში, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, ჩაებმებიან მუნიციპალიტეტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო პირები.



მწვანე ნარგავების განაშენიანების ასეთი მასშტაბური გეგმა კარგა ხანია, აღარ ყოფილა. ტყეების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ბიძინა გიორგობიანის განცხადებით, საქართველოს მასშტაბით ხეები მასობრივად ბევრ ადგილას დაირგვება. დაირგვება თბილისშიც, სადაც მწვანე საფარი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. აქა-იქ სანაპიროზე გაყოლებული ჭადრის ხეები ამ საქმეს ვერ შევლის.

„როზნანსი“

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

მას მერე, რაც სტომატოლოგმა მისოს მკურნალობის ღირებულების ანგარიში წარუდგინა, ამ უკანასკნელს წეროპათოლოგის, კარდიოლოგისა და ფსიქიატრის კონსულტაციებიც დასჭირდა...

საბჭოთა კავშირში სექსი არ იყო, მაგრამ ყველა ოჯახს 3-4 ბავშვი ჰყავდა. ახლა სექსი არის, მაგრამ ყოველ ოჯახში თითო ბავშვია. დასკვნა: და მაინც — წეროები. — აბა, შვილო, შენ

უკვე კაცი ხარ და სიგარეტის მოწვევის ნებას გაძლე, — ეუბნება მამა მისოს გამოსაშვები საღამოს შემდეგ. — გამადლობთ, მამო, მაგრამ უკვე ორი წელია, რაც მოწვევა მივატოვე.

ნაცნობი — ეს არის ადამიანი, რომელსაც საკმაოდ კარგად ვიცნობთ საიმისოდ, რომ მისგან ფული ვისესხოთ, მაგრამ არცთუ ისე კარგად ვიცნობთ, საიმისოდ, რომ მას ფული ვასესხოთ.

ინანუკიძე ილია ილიაძის კიდეგ ერთხელ გამოვიდა დონის როსტოვში: თურმე ფურცლის მორე გვერდზეც ტექსტი ყოფილა.

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი ბ. ახვლედიანის (მრფილი) პერმისიონის) ქ. 19. ISSN 2233-3851. მთავარი რედაქტორი ალექსი ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოშულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24.